

შპს აისი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3	არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4	ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ	12
5	ფასს-ების პირველად გამოყენება	13
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	16
7	ძირითადი სშუალებები	17
8	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
9	ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	18
10	საწესდებო კაპიტალი	19
11	ნასესხები სახსრები	19
12	საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	21
13	აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	22
14	ამონაგები	23
15	სხვა საოპერაციო ხარჯები	23
16	საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები	24
17	ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	26
18	სხვა შემოსავალი	26
19	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	27
20	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
21	ფინანსური რისკის მართვა	30
22	კაპიტალის მართვა	36
23	სამართლიანი ღირებულების განმარტება	36
24	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	37

შპს აისი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	66,356	67,789	69,715
აქტივების გამოყენების უფლება	13	154	157	160
არამატერიალური აქტივები		6	-	-
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		91	9	119
სულ გრძელვადიანი აქტივები		66,607	67,955	69,994
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		3	9	15
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	849	806	564
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	3,830	2,222	426
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,682	3,037	1,005
სულ აქტივები		71,289	70,992	70,999
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	32,552	32,418	32,103
დაგროვილი დეფიციტი		(5,553)	(5,199)	(4,957)
სულ საკუთარი კაპიტალი		26,999	27,219	27,146
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11,12	41,799	38,680	40,453
საიჯარო ვალდებულებები	12,13	140	140	160
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		41,939	38,820	40,613
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11,12	2,278	4,735	2,264
საიჯარო ვალდებულებები	12,13	21	43	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		52	175	976
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,351	4,953	3,240
სულ ვალდებულებები		44,290	43,773	43,853
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		71,289	70,992	70,999

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2025 წლის 16 აპრილს:

ნუგზარ ჭეიშვილი
დირექტორი

განმარტებული შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-37, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს აისი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	14	8,133	8,201
სხვა შემოსავალი	18	-	612
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(1,025)	(1,005)
ელექტრო ენერგიის გადაცემის ხარჯები	14	(357)	(36)
საპროცენტო შემოსავალი		119	100
საკუთრო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო		2	11
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(1,437)	(1,732)
EBITDA (შემოსავლები პროცენტამდე, გადასახადებამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე)	16	5,435	6,151
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,031)	(2,014)
საოპერაციო მოგება		3,404	4,137
ფინანსური დანახარჯები	17	(4,862)	(4,586)
ფინანსური შემოსავალი	12, 17	2,900	-
საკუთრო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო - ფინანსურ საქმიანობაზე	12, 17	(1,796)	207
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(354)	(242)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(354)	(242)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(354)	(242)

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-37, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს აისი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		32,103	(4,957)	27,146
წლის მოგება		-	(242)	(242)
სულ წლის სრული ზარალი		-	(242)	(242)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	315	-	315
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		32,418	(5,199)	27,219
წლის ზარალი		-	(354)	(354)
სულ წლის სრული ზარალი		-	(354)	(354)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	134	-	134
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		32,552	(5,553)	26,999

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-37, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს აისი LLC

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(354)	(242)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		2,031	2,014
საპროცენტო შემოსავალი		(119)	(100)
ფინანსური დანახარჯები	17	4,862	4,586
ფინანსური შემოსავალი	17	(2,900)	-
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა), ნეტო		1,794	(218)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		5,314	6,040
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(43)	(213)
მარაგების შემცირება		5	7
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(125)	(71)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		(163)	(277)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5,151	5,763
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(675)	(748)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6)	-
მიღებული პროცენტი		119	100
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(562)	(648)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	12	1,890	1,158
შემოსულობა კაპიტალის შენატანებიდან	10	134	315
ნასესხები სახსრების დაფარვა	12	(345)	(777)
გადახდილი პროცენტი	12	(4,516)	(4,015)
სხვა საბანკო მომსახურების საფასური		(147)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,984)	(3,319)
გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, ნეტო		3	-
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		1,608	1,796
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	2,222	426
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	3,830	2,222

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-37, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შპს აისი-სთვის (შემდგომში „კომპანია“) მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შეესაბამება ფასს-ს. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი (შენიშვნა 5).

კომპანია დაარსდა და საქმიანობას ეწევა საქართველოში. კომპანია დაფუძნდა 2018 წლის 15 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 400251543.

კომპანიის მფლობელები იყვნენ:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შპს C-C-E-H Hydro IV	72%	72%
შპს LPV Co	20%	20%
შპს Hydro Energy	8%	8%

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია შპს C-E-H Hydro IV წარმოადგენს კომპანიის წილობრივი უმრავლესობის მფლობელ მესაკუთრეს და არის Caucasus Clean Energy Fund I, L.P.-ის შვილობილი კომპანია. (შემდგომში "CCEF" ან "ფონდი"). CCEF წარმოადგენს პარტნიორობას, რომელიც ორიენტირებულია საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების („ჰესები“) სააქციო კაპიტალით უზრუნველყოფაზე. ფონდი მოიცავს წამყვან განვითარების საფინანსო ინსტიტუტებს, საოჯახო ფირმებს და ინსტიტუციონალურ ინვესტორებს. შპს „LPV Co“ არის ისლანდიის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიის (Landsvirkjun Power) და საინჟინრო და დეველოპერული კომპანიის შვილობილი კომპანია. შპს „Hydro Energy“ კომპანიის ყოფილი ერთადერთი მფლობელი და დეველოპერია.

ძირითადი საქმიანობა. შპს აისი არის საწარმო, რომელიც ფლობს ჰესებს ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2 (შემდგომში „პროექტი“) ახალქალაქის რაიონში, საქართველოში. კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ფლობა და ექსპლუატაცია. კომპანია ყველა საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. 2016 წლის 7 ოქტომბერს, კომპანიამ პროექტის განვითარებისთვის ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს („MoU“) საქართველოს მთავრობასთან („GoG“). 2020 წლის აგვისტოში კომპანიამ დაიწყო პროექტის სამშენებლო საქმიანობა სხვადასხვა კონტრაქტორთან (სამშენებლო კომპანიებთან, ელექტრომექანიკური აღჭურვილობის პროვაიდერებთან, ჰიდრომექანიკური აღჭურვილობის პროვაიდერებთან) ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ. ახალქალაქი 1-მა ფუნქციონირება დაიწყო 2022 წლის 2 ნოემბერს, ხოლო ახალქალაქი 2 ამოქმედდა 2022 წლის 10 ნოემბერს. ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება („PPA“) ხელმოწერილია ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან („ესკო“). ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, კომპანიას აქვს შესაძლებლობა ელექტროენერგია ექსკლუზიურად ესკო-ს მიჰყიდოს 8 თვის განმავლობაში (სექტემბერი-აპრილი) მაქსიმალური ფასით 6.00 აშშ ცენტი/კვტ.სთ, ან გაყიდოს ელექტროენერგია ნებისმიერ მხარეზე საქართველოში. ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, კომპანიას ასევე აქვს უფლება მოახდინოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში დარჩენილი 4 თვის განმავლობაში (მაისი-აგვისტო).

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდა, გ. ლეონიძის ქ. N2ა. კომპანიის საოპერაციო ჰესების ადგილმდებარეობაა საქართველო, ახალქალაქის რაიონი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილი საქართველოა. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს, უცხოური ვალუტის კურსების ცვალებადობას ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში და ა.შ.. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსულმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. კომპანიას არ აქვს პირდაპირი კავშირი უკრაინასთან, რუსეთთან და ბელარუსთან. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ეს არ მოახდენს შესამჩნევ გავლენას კომპანიის საქმიანობაზე. ვინაიდან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია სანდოდ შეფასდეს სრული გავლენა, რაც ამას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ეკონომიკაზე ზეგავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

არსებული ეკონომიკური სიტუაციის გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, როგორც ეს მოდიფიცირებულია სამართლიან ღირებულებაზე დაფუძნებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისთვის, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფას-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებების გამოყენება. ასევე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობას ეწევა. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლ“) რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს. ქართულ ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც სხვაგვარად არის მითითებული.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ოპერაციები და ნაშთები. ბალანსის თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში, ამ თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ასეთი ოპერაციების ანგარიშსწორებით და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირებით მიღებული შემოსულობები და ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სავალუტო შემოსულობა და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან, წარმოდგენილია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში "საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო ფინანსურ საქმიანობაზე". ყველა სხვა სავალუტო შემოსულობა და ზარალი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც "საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო".

ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ლარი/აშშ დოლარი	2.8068	2.6894	2.7020
ლარი/ევრო	2.9306	2.9753	2.8844

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის თანხითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

ცვეთა. ძირითად საშუალებებზე ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით ისე, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათ ნარჩენ ღირებულებაზე, შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
ჰესის შენობები და ნაგებობები	40 წელი
ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობა	25 წელი
ავტომობილები	5 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლებისთვის ნარჩენი ღირებულებები შეფასებულია, როგორც ნულის ტოლი.

აქტივების გამოყენების უფლება. მშენებლობის უფლების ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანია იჯარით იღებს მიწის ნაკვეთებს, სადაც მდებარეობს ჰესები ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2.

იჯარისგან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შედგება შემდეგისგან:

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების ოდენობა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდები, რომლებიც განხორციელდა დაწყების თარიღამდე ან თარიღისთვის, რომელიც შემცირებულია მიღებული საიჯარო წამახალისებლებით,
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- საიჯარო ხელშეკრულებებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აქტივის აღდგენისათვის გაწეული ნებისმიერი ხარჯი

აქტივების გამოყენების უფლება შემდგომში შეფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალი, კორექტირდება იჯარების გარკვეული გადაფასებებისთვის. აქტივების გამოყენების უფლების მუხლების ცვეთა გამოითვლება იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, შემდეგნაირად:

	ცვეთის პერიოდი
მიწა	49 წელი

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს ანიჭებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულის კლასიფიკაციას.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. კომპანია აღნიშნული აქტივების მართვას ახორციელებს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“).

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ბანკებში, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ზარალის ანარიცხის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით (ამ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ დეტალები იხილეთ 21-ე შენიშვნაში).

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული გადახდების (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდების) წმინდა დღევანდელ ღირებულებას, მისაღები საიჯარო წამახალისებლების გამოკლებით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეუძლებელია, რაც ზოგადად კომპანიის იჯარებს ახასიათებს, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც კომპანია გადაიხდიდა მსგავს ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი პირობებითა და უზრუნველყოფით აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის შესაძენად საჭირო სახსრების სესხებისთვის.

საიჯარო გადახდები ნაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში ისე, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი, მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა ვადა 12 თვე ან ნაკლებია.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა დამტკიცებულია კომპანიის მფლობელის მიერ და აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

ამონაგების აღიარება.

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას.

ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის საზღაური, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები ნაჩვენებია ფასდათმობების და დღგ-ს გარეშე. ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება პერიოდის განმავლობაში.

ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია

ამონაგების აღიარება ხდება კომპანიის ელექტროსადგურების მიერ გაყიდული ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით.

ელექტროენერგიის გაყიდვის ტარიფი განსაზღვრულია PPA-ს საფუძველზე, იურიდიულ პირებთან (მსხვილი მომხმარებელი, საბითუმო მიმწოდებელი (მოვაჭრე) გაფორმებული ადგილობრივი და საექსპორტო ხელშეკრულებების საფუძველზე.

ელექტროენერგიის გაყიდვების აღიარება ხდება ყოველთვიურად აღრიცხვის მოწყობილობების ჩვენების საფუძველზე. ეს მოწყობილობები დამონტაჟებულია კომპანიის ელექტროსადგურის გადამცემ/გამანაწილებელ ქსელებთან მიერთების ადგილზე.

მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიწოდებულია კომპანიის ელექტროსადგურის გადამცემ/გამანაწილებელ ქსელებთან მიერთების ადგილზე, რადგან ეს არის დროის ის მომენტი, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, რადგან მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო, რომ გადახდა ვადადამდგარი გახდეს. საანგარიშგებო პერიოდისთვის გადაცემული ელექტროენერგიის ფაქტობრივი მოცულობა დასტურდება ელექტროენერგიის წარმოებისა და მიწოდების მიღება/ჩაბარების აქტით. ინვოისი მომხმარებელზე გაიცემა ყოველთვიურად.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდისთვის გამომუშავებული და გადაცემული ელექტროენერგიის ფაქტობრივი მოცულობა დასტურდება შესაბამისი შედარების აქტით, რომლებიც ყოველთვიურად მზადდება და ფორმდება მომხმარებლებთან აღმრიცხველი მოწყობილობების ჩვენების საფუძველზე. მომხმარებლებისთვის ანგარიშის წარდგენა ხდება ყოველთვიურად, ყოველი თვის ბოლო დღეს, ხოლო PPA-ს შემთხვევაში, ანაზღაურება გადასახდელია არაუგვიანეს მომდევნო თვის 25 დღისა.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულ საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გრანტები. გრანტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, როდესაც გონივრული რწმუნება არსებობს, რომ კომპანია დააკმაყოფილებს ყველა პირობას და გრანტს მიიღებს. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები გრძელვადიან ვალდებულებებშია ასახული გადავადებული შემოსავლის სახით და მოგებაში ან ზარალში აისახება წრფივი მეთოდის საფუძველზე, დაკავშირებული აქტივების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. დანახარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები გადავადდება და წლის მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით აღიარდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა იმ დანახარჯებთან შეპირისპირებისთვის, რომელთა ანაზღაურებისთვის არის გამიზნული გრანტი.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდების გადანაწილების შედეგად, აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილ ავანსებსა და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეულ ოპერაციებზე, ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტით, აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებების აღრიცხვა მოგების გადასახადის პოზიციისათვის განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ უფრო სავარაუდოა, რომ არ მოხდება დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ საგადასახადო ორგანოების მხრიდან ეჭვს ქვეშ დადგება. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და სხვა გადასახადებთან გარდა მოგების გადასახადისა, დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციებისთვის კორექტირებები აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“) გადასახადელია საგადასახადო ორგანოებისთვის (ა) მომხმარებელთაგან მოთხოვნების დაფარვის ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს, რომელიც უფრო ადრე მოხდება. ჩასათვლელი დღგ, როგორც წესი, ანაზღაურდება გადასახადელი დღგ-დან დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მხრიდან დღგ-ის ანგარიშსწორება ნებადართულია ნეტო საფუძველზე. ელექტროენერგიის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

EBITDA. EBITDA განისაზღვრება, როგორც შემოსავალი პროცენტამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე და საფინანსო საქმიანობაზე სავალუტო კურსის ცვლილებით განპირობებულ (ზარალამდე)/მოგებამდე. EBITDA მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც შუალედური ჯამი.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ EBITDA-ს წარდგენა იძლევა სანდო და უფრო შესაბამის ინფორმაციას. EBITDA ყურადღებას ამახვილებს საოპერაციო გადაწყვეტილებების ფინანსურ შედეგზე, ხელმძღვანელობის ისეთი არასაოპერაციო გადაწყვეტილებების ზემოქმედების ელიმინირების გზით, როგორიცაა, მაგალითად, საგადასახადო განაკვეთები, საპროცენტო ხარჯები. EBITDA არის მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებელი, რომელსაც იყენებენ დაინტერესებული მხარეები ბიზნესის შეფასებისთვის, ხელმძღვანელობის ეფექტურობის შეფასებისთვის და ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების გაანგარიშებისთვის.

განმარტების მიხედვით, EBITDA არ მოიცავს საფინანსო საქმიანობაზე საკურსო სხვაობით განპირობებულ (ზარალს)/შემოსულობას. შესაბამისად, საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო, იყოფა ორ ცალკეულ ელემენტად საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, (საფინანსო საქმიანობის გამოკლებით), ნეტო და საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო, საფინანსო საქმიანობაზე, ნეტო.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება გამოცემის შემდეგ მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობის თანხმობას, რომელმაც დაამტკიცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად.

4 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ამასთან, ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, იმ განსჯის გარდა, რომელიც მოიცავს შეფასებებს, იყენებს გარკვეულ განსჯას.

განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების სამომავლო მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. კომპანიას უახლოეს მომავალში მისი საქმიანობის გასაგრძელებლად, აქვს საჭირო რესურსები.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ტექნიკური მოძველების, ფიზიკური ცვეთის და იმ ფიზიკური გარემოს შესაბამისად, სადაც აქტივი ოპერირებს. ამ რომელიმე პირობის, ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები სამომავლო ცვეთის განაკვეთებისთვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა 5%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე გავლენა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იქნება მისი 105 ათასი ლარით ზრდა ან 96 ათასი ლარით შემცირება (2023: ზრდა 105 ათასი ლარით ან შემცირება 95 ათასი ლარით).

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონის შემდეგ) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

იჯარით აღებული მიწებისთვის ტიპიურად, ყველაზე შესაბამისი შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, კომპანიას აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).
- თუ მოსალოდნელია, რომ რომელიმე საიჯარო გაუმჯობესებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, ჩვეულებრივ, კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე).

საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს დისკონტირების განაკვეთის გამოსათვლელად, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის ადვილად განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.

4 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი განისაზღვრა 14.20%-ით, რომელიც წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთს ლარში დენომინირებული ვალისთვის, რომელიც მორგებულია კომპანიის ინდუსტრიაზე და საიჯარო სახელშეკრულებო პირობებზე (ვალუტა, დაფარვის ვადა, მიზანი), რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დისკონტირების განაკვეთის 5%-იანი ზრდა ან შემცირება გამოიწვევს საიჯარო ვალდებულებების შემცირებას ან ზრდას შესაბამისად 41 ათასი ლარითა და 83 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერი: 42 ათასი ლარი და 84 ათასი ლარი).

5 ფასს-ების პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომლებიც შეესაბამება ფასს-ს. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, ფასს 1 მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტულ გამოყენებას, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს-ის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას და პირველ, ფასს-ების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში. კომპანიის წინა, საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (მსს ფასს-ები).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები სხვა ფასს-ების რეტროსპექტულ გამოყენებაზე და გადაწყვიტა შემდეგი არჩევითი გამონაკლისის გამოყენება:

- (ა) **ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები.** კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს ბასს 23-ის მითითებები, რომელიც მოითხოვს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციას ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან.

რეტროსპექტული გამოყენების გამონაკლისები, რომლებიც სავალდებულოა ფასს 10-ის მიხედვით, შემდეგია:

- ა) **შეფასებების გამონაკლისი.** შეფასებები, ფასს-ის მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უნდა შეესაბამებოდეს წინა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით იმავე თარიღებისთვის გაკეთებულ შეფასებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ აღნიშნულ შეფასებებში არსებობდა ცდომილება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ამ სავალდებულო გამონაკლისის შესაბამისად.
- ბ) **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის გამონაკლისი.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელთა აღიარებაც შეწყდა ფასს-ზე გადასვლამდე, ხელახლა არ აღიარებულა ფასს-ის შესაბამისად. ხელმძღვანელობას არ აურჩევია ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმების გამოყენება უფრო ადრეული თარიღიდან. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ სავალდებულო გამონაკლისის შესაბამისად.
- გ) **ჰეჯირების აღრიცხვის გამონაკლისი.** კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

5 ფასს-ების პირველად გამოყენება (გაგრძელება)

- დ) **ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება.** კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა მისი ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების პირობებს ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე. იმ შემთხვევებში, როდესაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის რეტროსპექტული გამოყენება კომპანიისთვის შესაძლებელი არ არის, ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის ფინანსური აქტივების, ან (და) ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არის ამ ფინანსური აქტივების ახალი მთლიანი საბალანსო ღირებულება, ან ამ ფინანსური ვალდებულებების ახალი ამორტიზებული ღირებულება, ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის. ეს გამონაკლისი შეფასდა კომპანიის მიერ, მაგრამ მსგავს ნაშთებს ადგილი არ ჰქონიათ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.
- ე) **ფინანსური აქტივების გაუფასურება.** ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები გამოიყენება რეტროსპექტულად. იმ შემთხვევებში, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დადგენა მოითხოვს გაუმართლებელ ხარჯებს ან ძალისხმევას, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიაროს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, სანამ ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება არ შეწყდება (თუ ეს ფინანსური ინსტრუმენტი არ არის დაბალი საკრედიტო რისკის მქონე საანგარიშგებო თარიღისთვის). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ სავალდებულო გამონაკლისის შესაბამისად, თუმცა მას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა ნაშთებზე, ფასს-ზე გადასვლის თარიღით.
- ვ) **ჩართული წარმოებულები.** კომპანიას არ გააჩნია ჩართული წარმოებულები.
- ზ) **სამთავრობო სესხები.** კომპანიას არ გააჩნია სამთავრობო სესხი.
- თ) **არამაკონტროლებელი წილების გამონაკლისი.** კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები და შესაბამისად, არ გააჩნია არამაკონტროლებელი წილები, როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ მიხედვით. შედეგად, ფასს 1-ის მიხედვით, არამაკონტროლებელ წილებთან დაკავშირებული სავალდებულო გამონაკლისები არ ვრცელდება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მცირე და საშუალო საწარმოთა ფასს-სა და სრულ ფასს-ს შორის განსხვავებების მთავარი კორექტირებები განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

იჯარა ფასს 16-ის მიხედვით. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის ფარგლებში, მოთხოვნილი იყო კორექტირების განხორციელება ფასს 16-ის მიხედვით აქტივების გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების ფასს 16-ის შესაბამისად აღიარებისთვის, ფინანსური მდგომარეობის ფასს -ის მიხედვით მომზადებულ საწყის ანგარიშგებაში 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მის პირველ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში, წინა, საზოგადოდ მიღებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებთან (GAAP) შედარებით, როდესაც თანხები ასახული იყო მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5 ფასს-ების პირველად გამოყენება (გაგრძელება)

შემდეგი შეჯერებები იძლევა მცირე და საშუალო საწარმოთა ფასს-ებიდან ფასს-ზე გადასვლის გავლენის რაოდენობრივ შეფასებას 2023 წლის 1 იანვრის, 2023 წლის 31 დეკემბრის, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრით და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
საკუთარი კაპიტალი წინა GAAP-ის მიხედვით	27,006	27,222	27,146
<i>სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა:</i>			
აქტივების გამოყენების უფლება	153	156	160
საიჯარო ვალდებულება	(160)	(182)	(160)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	-	23	-
ფასს საკუთარი კაპიტალი	26,999	27,219	27,146

ათასი ლარი	2024	2023
ზარალი წინა GAAP-ის მიხედვით	(351)	(239)
<i>სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა:</i>		
ამორტიზაცია: აქტივების გამოყენების უფლების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	(3)	(3)
ფინანსური ხარჯები : საიჯარო ვალდებულების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	(23)	(23)
სხვა საოპერაციო ხარჯები: საიჯარო ვალდებულების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	23	23
სულ სრული ზარალი ფასს-ების მიხედვით	(354)	(242)

კომპანიის საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო ფულადი ნაკადები, რომელიც ანგარიშგებულია მსს ფასს-ების მიხედვით, მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ფასს-ებისგან.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული პერიოდებისთვის, რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

ფასს 19 შეიღობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის)

ფასს-ის სააღრიცხვო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ფასს 9-სა და ფასს 7-ში შეტანილ ცვლილებებს (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილებები:

ათასი ლარი	მიწა შენიშვნები და ნაგებობები	პესების ელექტრომექანიკური ი და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილები და მოწყობილობები	ავტომობილები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სათადარიგო ნაწილები	სულ
თვითღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	77	54,014	15,711	97	129	-	70,028
დამატებები	-	67	-	17	-	-	84
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	77	54,081	15,711	114	129	-	70,112
დამატებები	-	46	356	15	84	6	594
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	77	54,127	16,067	129	213	6	70,706
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	159	74	63	17	-	313
წლის დარიცხვა	-	1,352	628	20	10	-	2,010
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	1,511	702	83	27	-	2,323
წლის დარიცხვა	-	1,357	636	20	14	-	2,027
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	2,868	1,338	103	41	-	4,350
საბალანსო ღირებულებები							
2023 წლის 1 იანვარს	77	53,855	15,637	34	112	-	69,715
2023 წლის 31 დეკემბერს	77	52,570	15,009	31	102	-	67,789
2024 წლის 31 დეკემბერს	77	51,259	14,729	26	172	6	66,356

დაგირავებული აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-19 შენიშვნა.

შპს აისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	634	587	564
სხვა მოთხოვნები	185	177	-
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(170)	(144)	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	649	620	564
საგადასახადო მოთხოვნები	200	186	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	849	806	564

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს მოთხოვნებს ელექტროენერგიის რეალიზაციიდან.

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 21.

9 ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები ბანკში	3,830	2,222	426
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,830	2,222	426

იმ ბანკების საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციისთვის, სადაც კომპანიის ფულადი სახსრებია განთავსებული, იხილეთ შენიშვნა 21.

10 საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 21 სექტემბერს შპს CCEH Hydro IV-მ დააარსა ერთობლივი საწარმო, რათა განეხილათ პროექტი შპს LPV Co -სთან და შპს Hydro Energy -სთან, ადგილობრივ ქართველ დეველოპერთან. ერთობლივი საწარმოს („JV“) ხელშეკრულების თანახმად, პროექტის განვითარება ორ ეტაპად დაიყოფა:

- I ფაზა: პროექტის მიზანშეწონილობის განსაზღვრის ეტაპი, რომელიც მთავრდება პროექტის მშენებლობის შეთავაზების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის შემდეგ; შესაბამისად, I ფაზა დასრულდა 2020 წლის დეკემბერში.
- II ფაზა: პროექტის მიზანშეწონილობის განსაზღვრების შემდგომი ეტაპი, მას შემდეგ, რაც პროექტის მშენებლობის შესახებ შესაბამისი შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან შესრულდება.

2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 257 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (688 ათასი ლარი), რაც მოიცავდა შპს „ჰიდრო ენერჯის“ მიერ 59 ათასი აშშ დოლარის (155 ათასი ლარი) ოდენობის არაფულად შენატანს, საქართველოს მთავრობასთან ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობების მიხედვით.

2019 წელს საწყისი შენატანი გაიზარდა 456 ათასი აშშ დოლარით (1,283 ათასი ლარი), 2020 წელს - 5,089 ათასი აშშ დოლარით (16,107 ათასი ლარი), ხოლო 2021 წელს - 2,108 ათასი აშშ დოლარით (6,739 ათასი ლარი).

2023 წელს საწესდებო კაპიტალში 120 ათასი აშშ დოლარის (315 ათასი ლარი) დამატებითი შენატანი განხორციელდა, რის შედეგადაც საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 10,500 ათას აშშ დოლარამდე (32,418 ათასი ლარი).

2024 წელს საწესდებო კაპიტალში 50 ათასი აშშ დოლარის (134 ათასი ლარი) დამატებითი შენატანი განხორციელდა, რის შედეგადაც საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 10,550 ათას აშშ დოლარამდე (32,552 ათასი ლარი).

11 ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
საბანკო სესხი	44,077	43,415	42,717
სულ ნასესხები სახსრები	44,077	43,415	42,717

კომპანიას სს თიბისი ბანკთან გაფორმებული აქვს შემდეგი სასესხო ხელშეკრულებები:

სესხი #1 –12,985 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის თარიღით 2037 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გაცემულია რამდენიმე ტრანშის სახით 2021 და 2022 წლებში, გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

სესხი #2 –1,515 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის ვადა 2028 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

სესხი #3 –1,000 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის ვადა 2037 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

11 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2024 წლის 25 მარტს, კომპანიამ შეცვალა სს „თიბისი ბანკთან“ არსებული ყველა დაუფარავი სესხის ხელშეკრულების პირობები, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის (რომელიც გამოყენებოდა 2022 და 2023 წლების პერიოდებისთვის, ასევე 2024 წლის პირველი 25 დღისთვის) ორი წლის განმავლობაში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის გზით, რასაც შემდგომში მოჰყვება მცოცავი განაკვეთი. დაფარვის ვადები გაგრძელდა 2038 წლის 25 ივლისამდე.

სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით კომპანიას აქვს საშეღავათო პერიოდი მშენებლობის ფაზის განმავლობაში და ძირითადი თანხის ნაშთის პირველი სახელშეკრულებო გადახდის ვალდებულება იწყება 2023 წლის მეორე ნახევრიდან.

ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით დაგირავებულია კომპანიის ყველა აქტივი, ისევე, როგორც კომპანიის 100% საკუთრების წილი (შენიშვნა 19).

კომპანია ექვემდებარება გარკვეულ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებს, რომლებიც, ძირითადად, სს თიბისი ბანკისგან მიღებულ ნასესხებ სახსრებთანაა დაკავშირებული (შენიშვნა 19).

12 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებების ანალიზს და კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან ვალდებულებების ცვლილებას თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც საფინანსო:

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	43,415	183	43,598
ფულადი ნაკადები			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	1,890	-	1,890
ნასესხები სახსრების დაფარვა	(345)	-	(345)
გადახდილი პროცენტი	(4,471)	(45)	(4,516)
სულ ფულადი ნაკადები	(2,926)	(45)	(2,971)
არაფულადი ცვლილებები			
ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა	1,796	-	1,796
ნასესხები სახსრების რესტრუქტურისა და ფასთან	(2,900)	-	(2,900)
დაკავშირებული შემოსულობები, შემცირებული ზარალით დარიცხული პროცენტი	4,692	23	4,715
სულ არაფულადი ცვლილებები	3,588	23	3,611
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2024 წლის 31 დეკემბერს	44,077	161	44,238

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	42,717	160	42,877
ფულადი ნაკადები			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	1,158	-	1,158
ნასესხები სახსრების დაფარვა	(777)	-	(777)
გადახდილი პროცენტი	(4,015)	-	(4,015)
სულ ფულადი ნაკადები	(3,634)	-	(3,634)
არაფულადი ცვლილებები			
ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა	(207)	-	(207)
დარიცხული პროცენტი	4,539	23	4,562
სულ არაფულადი ცვლილებები	4,332	23	4,355
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 31 დეკემბერს	43,415	183	43,598

13 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

მშენებლობის უფლების ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანია იჯარით იღებს მიწის ნაკვეთებს, სადაც მდებარეობს ჰესები ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2. მოცემული ხელშეკრულებები გაფორმებულია ფიქსირებული პერიოდებისთვის - 49 წელი.

იჯარის ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ახდენს საიჯარო გადახდების დისკონტირებას იჯარის აღიარების თარიღისთვის მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით. კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებების ფულადი ნაკადები დენომინირებულია ლარში. 2024 და 2023 წლებში გამოყენებული განაკვეთი დაახლოებით 14.2%-ს შეადგენდა.

ათასი ლარი	2024	2023
აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	157	160
ამორტიზაციის ხარჯი	(3)	(3)
აქტივების გამოყენების უფლების მთლიანი ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	160	160
დაგროვილი ამორტიზაცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6)	(3)
აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	154	157

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად აღიარა:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	140	140	160
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	21	43	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	161	183	160

2024 წლის ფინანსურ ხარჯებში შეყვანილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 23 ათასი ლარი (2023: 23 ათასი ლარი).

მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები შეყვანილია სხვა საოპერაციო ხარჯებში, ადგილობრივი მიწის ქირავნობის, დასუფთავების საფასურისა და ქირავნობის ხარჯების ნაწილში (შენიშვნა 15).

14 ამონაგები

ათასი ლარი	2024	2023
ელექტროენერგიის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	6,838	8,201
ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვა	1,295	-
სულ ამონაგები	8,133	8,201

ამონაგები წარმოადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. 2024 წლის ზაფხულის სეზონზე (მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო) კომპანიამ წარმოებული ელექტროენერგიის 43.29% თურქეთში ექსპორტზე გაიტანა (2023: კომპანიამ 3,424 ათასი ლარის ამონაგები გამოიმუშავა ადგილობრივი მოვაჭრეებისთვის - თურქეთში ექსპორტის მიზნით - ელექტროენერგიის რეალიზაციიდან).

2024 წელს კომპანიამ საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებით 321 ათასი ლარის ელექტროენერგიის გადაცემის საფასური გადაიხადა (2023: ნული).

15 სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2024	2023
გადასახადების ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	674	690
საკუთრების დაზღვევა	173	145
პროფესიონალური მომსახურების საფასური	159	155
რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	89	108
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის დანახარჯი (ESG) *	63	91
წარმომადგენლობითი ხარჯები	40	9
ქირავნობის ხარჯები	36	37
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები	26	144
კომუნალური ხარჯები	20	25
საოფისე მარაგები	17	9
სხვა	140	319
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	1,437	1,732

*გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) დანახარჯი მოიცავს წყლის ანალიზთან, ბიომრავალფეროვნებისა და იხტიოფაუნის მონიტორინგსა და კვლევასთან დაკავშირებულ კვლევისა და განვითარების ხარჯებს 20 ათასი ლარის ოდენობით (2023: 41 ათასი ლარი ძირითადად სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის).

16 საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებების, როგორც კორექტირებული ამონაგები, კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA მარჯა, წარდგენა უზრუნველყოფს ღირებულ ინფორმაციას მისი ფინანსური საქმიანობის შედეგების შესახებ, რათა კომპანიის მაჩვენებლები შედარებადი იყოს ინდუსტრიის სხვა კომპანიებთან და გაანალიზდეს წლების განმავლობაში განმეორებადი საქმიანობის შედეგების ოპერაციული მაჩვენებლები, გარდა არარეგულარული მუხლებისა. კომპანია ამ მაჩვენებლებს იყენებს კომპანიის საქმიანობის შედეგების შესაფასებლად.

კორექტირებული ამონაგები, კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA მარჯა მოცემულია ქვემოთ:

a) კორექტირებული ამონაგები

ათასი ლარი	2024	2023
ამონაგები	8,133	8,201
საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებული ელექტროენერგიის გადაცემის ხარჯები	(321)	-
კორექტირებული ამონაგები *	7,812	8,201

*კორექტირებული ამონაგები. კორექტირებული ამონაგები გამოითვლება საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებული ელექტროენერგიის გადაცემის საფასურის ამონაგებიდან გამოქვითვის გზით. ზაფხულის სეზონის განმავლობაში, რომელიც არ რეგულირდება ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებით, კომპანია ელექტროენერგიას ყიდის ადგილობრივ ბაზარზე, ან ექსპორტის მეშვეობით, ძირითადად თურქეთში. როდესაც ელექტროენერგია იყიდება საექსპორტოდ, მარეგულირებლისათვის ხდება ელექტროენერგიის გადაცემის არსებითი საფასურის გადახდა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ადგილობრივი გაყიდვებისთვის დაწესებული საფასურისგან. წმინდა საექსპორტო გაყიდვების ფასები (გამოითვლება როგორც ერთეულის ფასს გამოკლებული ერთეულის გადაცემის საფასური) ისტორიულად მიუახლოვდა ზაფხულის ადგილობრივი გაყიდვების ფასებს. თუმცა, რადგან საექსპორტო გაყიდვები შეიძლება ყოველწლიურად არ განმეორდეს, შესაძლოა წარმოიშვას მთლიანი ამონაგების რყევები, რაც ართულებს პერიოდებს შორის პირდაპირი შედარების გაკეთებას. საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზში თანამიმდევრულობისა და შედარებადობის გასაუმჯობესებლად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კორექტირებული ამონაგების გამოყენება უფრო ზუსტად ასახავს ძირითად ბიზნეს ოპერაციებს ისეთი მთავარი საქმიანობის შედეგების მაჩვენებლების გაანგარიშებისას, როგორც კორექტირებული EBITDA მარჯა, ან EBITDA მარჯა.

16 საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები (გაგრძელება)

b) EBITDA და კორექტირებული EBITDA

ათასი ლარი	2024	2023
სულ წლის სრული ზარალი	(354)	(242)
ცვეთა და ამორტიზაცია	2,031	2,014
ფინანსური ხარჯები	4,862	4,586
ფინანსური შემოსავალი	(2,900)	-
სავალუტო ზარალი/(შემოსულობა), ნეტო, ფინანსურ საქმიანობაზე მოგების გადასახადის ხარჯი	1,796	(207)
	-	-
EBITDA	5,435	6,151
სპეციფიური არარეგულარული მუხლები*** (იხილეთ ქვემოთ)	209	(80)
კორექტირებული EBITDA**	5,644	6,071

კორექტირებული EBITDA. კორექტირებული EBITDA გამოითვლება EBITDA-ს კორექტირებით, რათა გამოირიცხოს კონკრეტული არარეგულარული მუხლები, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, არ უნდა იქნას გათვალისწინებული კომპანიის მიმდინარე რეგულარული საქმიანობის შედეგების შეფასებისას. ეს კონკრეტული მუხლები მოიცავს: (1) არაფულად შემოსავალს და ხარჯებს, რომლებიც წარმოიქმნება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან, ან ჩამოწერიდან, ან სხვა, მსგავსი არარეგულარული ოპერაციებიდან; და (2) არარეგულარული, არაოპერაციული მუხლები, რომლებიც არ ასახავს კომპანიის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის შედეგებს.

c) სპეციფიური მუხლები***

ათასი ლარი	2024	2023	კლასიფიკაცია
არა-საოპერაციო, ერთჯერადი შემოსავალი *	-	(612)	სხვა შემოსავალი
არა-საოპერაციო, სოფლის ინფრასტრუქტურა და სოციალური ხარჯები	-	33	სხვა საოპერაციო ხარჯები
ერთჯერადი წარმომადგენლობითი ხარჯები	31	-	სხვა საოპერაციო ხარჯები
ერთჯერადი საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურების საფასური	44	45	სხვა საოპერაციო ხარჯები
ერთჯერადი რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	4	37	სხვა საოპერაციო ხარჯები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	26	144	სხვა საოპერაციო ხარჯები
სხვა ერთჯერადი ხარჯები	104	273	სხვა საოპერაციო ხარჯები
სულ სპეციფიური მუხლები	209	(80)	

*მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება საგრანტო შემოსავლისგან (შენიშვნა 18).

შპს აისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

16 საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები (გაგრძელება)

d) კორექტირებული EBITDA მარჯა

კორექტირებული EBITDA მარჯა და EBITDA მარჯა გამოითვლება კორექტირებული EBITDA-ს და EBITDA-ს კორექტირებულ ამონაგებზე გაყოფით, შესაბამისად.

ათასი ლარი	2024	2023
EBITDA	5,435	6,151
კორექტირებული EBITDA	5,644	6,071
კორექტირებული ამონაგები	7,812	8,201
EBITDA მარჯა %	69.57%	75.00%
კორექტირებული EBITDA მარჯა %	72.25%	74.03%

17 ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო

ათასი ლარი	2024	2023
ფინანსური ხარჯები	(4,862)	(4,586)
საპროცენტო ხარჯი	(4,715)	(4,561)
გარანტიის საფასური	-	(25)
სხვა	(147)	-
ფინანსური შემოსავალი	2,900	-
ნასესხები სახსრების რესტრუქტურის შედეგად მიღებული შემოსულობები, შემცირებული ზარალით (შენიშვნა 12)	2,900	-
სავალუტო (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო, ფინანსურ საქმიანობაზე	(1,796)	207
ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი, ნეტო	(3,758)	(4,379)

18 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2024	2023
სუბსიდიები	-	437
სხვა	-	175
სულ, სხვა შემოსავალი	-	612

2023 წლის იანვარში კომპანიამ ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2 ჰესების მშენებლობისთვის, ვაჭრობის მხარდაჭერის სქემის ფარგლებში, 151 ათასი ევროს ოდენობის სუბსიდია მიიღო.

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები ახასიათებს, რომლებიც ხშირად გაურკვეველი და ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც შესაბამისად მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები, სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვასა და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც მძიმე საურავების, ჯარიმებისა და საპროცენტო ხარჯების დაკისრების ძალაუფლება აქვთ. საგადასახადო წელი დიახ საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც ბევრ სხვა ქვეყანაში არსებულ მსგავს რისკებზე არსებითად მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისი ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და შესაბამისად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანოები წამატებით აღასრულებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს.

ვალდებულება საქართველოს მთავრობის წინაშე. 2016 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს მთავრობასთან ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის (მემორანდუმის) საფუძველზე, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2022 წლის 23 თებერვალს, კომპანიას აქვს ვალდებულება ააშენოს ჰესები და აქვს შესაძლებლობა გაყიდოს ელექტროენერგია ექსკლუზიურად ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორზე ("ESCO"). ") 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან აპრილამდე) 5.8 აშშ დოლარის ცენტი/კვტ/სთ-სთვის ფასში პირველი 15 წლის განმავლობაში ან ნებისმიერ სხვა მხარეზე საქართველოში. კომპანიას ვალდებულება აქვს დაასრულოს ჰესების მშენებლობა 2022 წლის 26 დეკემბრამდე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შესაბამისობაში იყო მთავრობის მიმართ არსებულ ვალდებულებებთან.

საქართველოს მთავრობასთან 2022 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის (მემორანდუმის) საფუძველზე, კომპანიას აქვს ოფციონი, რომ ელექტროენერგია გაყიდოს ექსკლუზიურად ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორზე ("ESCO") 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან აპრილამდე), 6.00 აშშ დოლარის ცენტი/კვტ/სთ მაქსიმალურ ფასად ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, ან ნებისმიერ სხვა მხარეზე საქართველოში.

ESCO-სთან გაფორმებული ელექტროენერგიის ათი წლიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას ("PPA") ხელი მოეწერა 2022 წლის 23 სექტემბერს და ძალაში შევიდა 2022 წლის 8 ნოემბერსა და 2022 წლის 17 ნოემბერს ახალქალაქი 1 ჰესისთვის და ახალქალაქი 2 ჰესისთვის, შესაბამისად.

საბანკო გარანტიები. კომპანიამ უზრუნველყო საბანკო გარანტია ხელმოწერილი მემორანდუმის შესაბამისად:

- 910 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სამშენებლო საბანკო გარანტია გაცემულია შპს C-C-E-H Hydro IV-ის მიერ კომპანიის სახელით 2020 წლის 2 ივლისს, რომელიც საქართველოს მთავრობამ უნდა გაათავისუფლოს სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე. გარანტია გაცემულ იქნა 2023 წლის მაისში.
- ამასთან, კომპანიის მიერ 2021 წლის 5 თებერვალს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტზე გაცემულია საბანკო გარანტია 2,449 ათასი ლარის ოდენობით. გარანტიის დაუფარავი ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო 306 ათასი ლარი. გარანტიის ვადა დასრულდა 2023 წლის 22 დეკემბერს.

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. სს თიბისი ბანკთან არსებული ნასესხები სახსრების ხელშეკრულებების მიხედვით, ბანკში დაგირავებულია კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება, აგრეთვე საკუთრების წილი.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ასპექტები კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია და პროექტის განვითარების სრული პროცესი ფასდება და ვითარდება მსოფლიოში აღიარებული ESG სტანდარტების (EIB, IFC) გათვალისწინებით.

სოციალური საკითხები. 2020 წელს კომპანიამ აიღო ვალდებულება დააფინანსოს გარკვეული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები ახალქალაქის ჰესების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი საზოგადოებისთვის. ეს ინიციატივა პროექტის დასაწყისშივე წარმოიშვა, რათა უზრუნველყოფილიყო ჰესების უწყვეტი განვითარება ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი გამოწვევების გარეშე. გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მიერ განსახორციელებელი სოციალური პროექტების სიებს. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არამედ კომპანიის განზრახვაა, მხარი დაუჭიროს ადგილობრივ თემებს.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებებს, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადად სს თიბისი ბანკიდან მის მიერ ნასესხებ სახსრებთან და აკრედიტივთან. ასეთ შეთანხმებებთან შესაბამისობა კომპანიისთვის შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორისაა ნასესხები სახსრების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანია არ იყო ზოგიერთ შეთანხმებულ პირობასთან სრულად შესაბამისობაში დასრულებული წლების განმავლობაში და 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუმცა სს თიბისი ბანკისგან მიღებულია უარი მოთხოვნის უფლებაზე 2024 წლის 31 დეკემბერსა და 2023 წლის 29 დეკემბერს, შესაბამისად. აღნიშნული უარის წერილები სს თიბისი ბანკისათვის ნიშნავს უარის თქმას შეთანხმებული პირობების დარღვევასთან დაკავშირებულ პრეტენზიებსა და უფლებებზე.

20 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯების მუხლები შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
მშობელი კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიის ფინანსური დანახარჯები	-	9
სულ	-	9

დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები შემდეგია:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
მშობელი კომპანიის მიერ უზრუნველყოფილ საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	-	70	60
სულ	-	70	60

მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს კომპანიის დირექტორებს. მთავარი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება სრულ განაკვეთზე აღმასრულებელ მმართველ პოზიციებზე მომსახურებისთვის შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და ჯანმრთელობის დაზღვევისგან.

მთავარი ხელმძღვანელი პირების სრული ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	2024	2023
ხელფასები და სარგებელი	151	211

ხელფასები და სარგებელი მოიცავს კომპანიის მიერ საქართველოს საპენსიო სააგენტოსთვის გადახდილ სავალდებულო საპენსიო შენატანს 3 ათასი ლარის ოდენობით (2023: 4 ათასი ლარი).

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკების ზღვრული მაჩვენებლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნული მაჩვენებლების ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმისთვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკები და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება სავაჭრო მოთხოვნების, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან და, ასევე, კონტრაქტებთან ისეთი სხვა გარიგებებს შედეგად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული ბალანსგარეშე საკრედიტო ვალდებულებების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, რომელიც აისახა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
საბანკო ნაშთები	3,830	2,222	426
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	634	587	564
აღიარებული ფინანსური აქტივები	4,464	2,809	990

საბანკო ნაშთები. კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია სს თიბისი ბანკში, რომელსაც, Fitch Rating-ის მიხედვით, აქვს მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი BB- (2023: BB). ეს ნაშთები არ არის ვადაგადაცილებული და იმყოფება პირველ საფეხურზე. შესაბამისად, კომპანია არ ელის კონტრაქტის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. საკრედიტო რისკი იმართება ინდივიდუალური მომხმარებლის დონეზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა შესაძლო შედეგებისთვის საკრედიტო ზარალის შეფასებების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობასთან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზარალის ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

სავაჭრო მოთხოვნები სრულად მოკლევადიანია (არა ვადაგადაცილებული) და ჩვეულებრივ იფარება 30 დღის განმავლობაში.

შპს აისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
სხვა მოთხოვნები	185	176	-
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(170)	(144)	-
სულ, სხვა მოთხოვნები	15	32	-

მომდევნო ცხრილი განმარტავს ცვლილებებს სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხებში:

ათასი ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	144	-
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (პერიოდის მოგებაში ან ზარალში დარიცხვა)	26	144
ნაშთი 31 დეკემბერს	170	144

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან და (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან, ამასთან, ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს დასაშვები რისკის მოცულობის ლიმიტებს, რომლის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს.

თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, არ უზრუნველყოფს ამ ლიმიტებს მიღმა ზარალის თავიდან აცილებას უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა რისკის გავლენის დონეზე ვალუტის მიხედვით ადგენს ზღვრებს, რომლებიც ყოველდღიურად კონტროლდება. კომპანიის სავალუტო რისკის გავლენა ძირითადად განპირობებულია აშშ დოლარში დენომინირებული საბანკო სესხით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ათასი ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2024 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარში დენომინირებული 2023 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარში დენომინირებული 2023 წლის 1 იანვარი
საბანკო ნაშთები	3,218	240	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(14)	(108)	(103)
სესხები და ნასესხები სახსრები	(44,077)	(43,415)	(42,717)
წმინდა დაქვემდებარება	(40,873)	(43,283)	(42,814)

შპს აისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	ევროში დენომინირებული 2024 წლის 31 დეკემბერი	ევროში დენომინირებული 2023 წლის 31 დეკემბერი	ევროში დენომინირებული 2023 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(33)	(38)	(1)
წმინდა დაქვემდებარება	(33)	(38)	(1)

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსები გახლდათ შემდეგი:

ქართული ლარი	საშუალო კურსი		ანგარიშგების თარიღისთვის არსებული „სპოტ“ სავალუტო კურსი		
	2024 წელს დასრულებული წელი	2023 წელს დასრულებული წელი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894	2.7020
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753	2.8844

მგრძნობელობის ანალიზი. შემდეგი ცხრილი წარმოადგენს მოგების ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გამოყენებული გაცვლითი კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შემთხვევაში:

ათასი ლარი	გამყარება		გაუფასურება	
	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)
2024 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	4,087	-	(4,087)
ევრო (10% ცვლილება)	-	3	-	(3)
2023 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	4,328	-	(4,328)
ევრო (10% ცვლილება)	-	4	-	(4)
2023 წლის 1 იანვარი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	4,281	-	(4,281)
ევრო (10% ცვლილება)	-	-	-	-

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად წარმოქმნილი რისკები. საპროცენტო მარჟა შეიძლება გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი მოძრაობების წარმოქმნის შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურად აკონტროლებს და ადგენს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო გადაფასების შეუსაბამობის დონეზე.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების აგრეგირებული ოდენობა საბალანსო ღირებულებით:

ათასი ლარი	საბალანსო ღირებულება		
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	44,289	356	1,087
ფინანსური ვალდებულებები	44,289	356	1,087
ცვლადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	-	43,415	42,717
ფინანსური ვალდებულებები	-	43,415	42,717

2024 წლის 31 დეკემბერს, თუ ამ თარიღისთვის არსებული საპროცენტო განაკვეთი იქნებოდა 200 საბაზისო ერთეულით ნაკლები (2023: 200 საბაზისო ერთეულით ნაკლები), წლიური მოგება იქნებოდა 343 ათასი ლარით მეტი (2023: 416 ათასი ლარით მეტი), ნასესხებ სახსრებზე უფრო დაბალი საპროცენტო ხარჯის შედეგად. თუ საპროცენტო განაკვეთი იქნებოდა 200 საბაზისო ერთეულით მეტი (2023: 200 საბაზისო ერთეულით მეტი), მოგება იქნებოდა 256 ათასი ლარით ნაკლები (2023: 383 ათასი ლარით ნაკლები), ნასესხებ სახსრებზე უფრო მაღალი საპროცენტო ხარჯის შედეგად.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიურ მონიტორინგს. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს, იჯარებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიან/გრძელვადიან ვალდებულებებს. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 9). ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელის ფულადი სახსრები, შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფულად სახსრებად ერთ დღეში, ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგი ხორციელდება და რეგულარული ლიკვიდობის სტრეს ტესტირება ტარდება სხვადასხვა სცენარის მიხედვით, რომელიც მოიცავს, როგორც ნორმალურ, ასევე უფრო მკაცრ საბაზრო პირობებს.

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც ვალდებულების თანხა არ არის ფიქსირებული, შენიშვნებში განმარტებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	საბალანსო დირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 11)	44,077	92,166	-	2,299	2,208	23,969	63,690
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	161	1,069	-	-	23	114	932
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	52	52	-	52	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	44,290	93,287	-	2,351	2,231	24,083	64,622

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	საბალანსო დირებულება	სულ მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 11)	43,415	79,587	-	3,196	3,491	31,598	41,302
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	183	1,114	-	-	45	114	955
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	175	175	-	175	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	43,773	80,876	-	3,371	3,536	31,712	42,257

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2023 წლის 1 იანვრისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	საბალანსო დირებულება	სულ მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 11)	42,717	78,715	-	1,759	2,839	30,062	44,055
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	160	1,114	-	-	-	114	1,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	927	927	-	927	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	43,804	80,756	-	2,686	2,839	30,176	45,055

22 კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მართვისას არის დაიცვას კომპანიის შესაძლებლობა, განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის ოპერაციული და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს უკანასკნელი მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვისა და კომპანიის ამონაგებისა და მოგების მონიტორინგის საშუალებით.

23 სამართლიანი ღირებულების განმარტება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებები, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასებაში გამოყენებული მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება ემყარება ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკის და ვადის მქონე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, მიეკუთვნება მე-2 დონეს.

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხის დაფარვა. 2025 წლის თებერვალსა და მარტში კომპანიამ ვადაზე ადრე დაფარა #3 საბანკო სესხი 600 ათასი აშშ დოლარისა და 150 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (შესაბამისად, 1,683 ათასი და 419 ათასი ლარის ეკვივალენტი).

საკრედიტო ხაზი. 2025 წლის მარტში, კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს „თიბისი ბანკთან“, 700 ათასი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ლიმიტით, რათა მეტად უზრუნველყოფილი ჰქონოდა მისი ლიკვიდობის პოზიცია. ინსტრუმენტს აქვს სამწლიანი ვადა და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისთვის არ არის გამოყენებული.

ნასესხები სახსრების მოდიფიკაცია. 2025 წლის 28 იანვარს, კომპანიამ ხელახალი მოლაპარაკება აწარმოა სს „თიბისი ბანკთან“ სამივე სავალო ხელშეკრულების პირობებზე, რითაც უზრუნველყო უფრო ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრიდან.

შპს აისი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	ზოგადი ინფორმაცია.....	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3	არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4	ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ	12
5	ფასს-ების პირველად გამოყენება.....	13
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	16
7	ძირითადი სშუალეები	17
8	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
9	ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები.....	18
10	საწესდებო კაპიტალი	19
11	ნასესხები სახსრები.....	19
12	საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება.....	21
13	აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	22
14	ამონაგები	23
15	სხვა საოპერაციო ხარჯები.....	23
16	საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები	24
17	ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	26
18	სხვა შემოსავალი	26
19	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	27
20	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
21	ფინანსური რისკის მართვა	30
22	კაპიტალის მართვა	36
23	სამართლიანი ღირებულების განმარტება.....	36
24	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	37

შპს აისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	66,356	67,789	69,715
აქტივების გამოყენების უფლება	13	154	157	160
არამატერიალური აქტივები		6	-	-
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		91	9	119
სულ გრძელვადიანი აქტივები		66,607	67,955	69,994
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		3	9	15
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	849	806	564
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	3,830	2,222	426
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,682	3,037	1,005
სულ აქტივები		71,289	70,992	70,999
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	32,552	32,418	32,103
დაგროვილი დეფიციტი		(5,553)	(5,199)	(4,957)
სულ საკუთარი კაპიტალი		26,999	27,219	27,146
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11,12	41,799	38,680	40,453
საიჯარო ვალდებულებები	12,13	140	140	160
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		41,939	38,820	40,613
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11,12	2,278	4,735	2,264
საიჯარო ვალდებულებები	12,13	21	43	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		52	175	976
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,351	4,953	3,240
სულ ვალდებულებები		44,290	43,773	43,853
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		71,289	70,992	70,999

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2025 წლის 16 აპრილს:

ნუგზარ ჭეიშვილი

დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-37, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს აისი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	14	8,133	8,201
სხვა შემოსავალი	18	-	612
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(1,025)	(1,005)
ელექტრო ენერგიის გადაცემის ხარჯები	14	(357)	(36)
საპროცენტო შემოსავალი		119	100
საკუროსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო		2	11
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(1,437)	(1,732)
EBITDA (შემოსავლები პროცენტამდე, გადასახადებამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე)	16	5,435	6,151
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,031)	(2,014)
საოპერაციო მოგება		3,404	4,137
ფინანსური დანახარჯები	17	(4,862)	(4,586)
ფინანსური შემოსავალი	12, 17	2,900	-
საკუროსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო - ფინანსურ საქმიანობაზე	12, 17	(1,796)	207
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(354)	(242)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(354)	(242)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(354)	(242)

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-37, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს აისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

<i>ათასი ლარი</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>დაგროვილი დეფიციტი</i>	<i>სულ</i>
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		32,103	(4,957)	27,146
წლის მოგება		-	(242)	(242)
სულ წლის სრული ზარალი		-	(242)	(242)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	315	-	315
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		32,418	(5,199)	27,219
წლის ზარალი		-	(354)	(354)
სულ წლის სრული ზარალი		-	(354)	(354)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	134	-	134
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		32,552	(5,553)	26,999

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-37, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(354)	(242)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		2,031	2,014
საპროცენტო შემოსავალი		(119)	(100)
ფინანსური დანახარჯები	17	4,862	4,586
ფინანსური შემოსავალი	17	(2,900)	-
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა), ნეტო		1,794	(218)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		5,314	6,040
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(43)	(213)
მარაგების შემცირება		5	7
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(125)	(71)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		(163)	(277)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5,151	5,763
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(675)	(748)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6)	-
მიღებული პროცენტი		119	100
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(562)	(648)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	12	1,890	1,158
შემოსულობა კაპიტალის შენატანებიდან	10	134	315
ნასესხები სახსრების დაფარვა	12	(345)	(777)
გადახდილი პროცენტი	12	(4,516)	(4,015)
სხვა საბანკო მომსახურების საფასური		(147)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,984)	(3,319)
გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, ნეტო		3	-
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		1,608	1,796
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	2,222	426
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	3,830	2,222

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-37, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შპს აისი-სთვის (შემდგომში „კომპანია“) მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შეესაბამება ფასს-ს. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი (შენიშვნა 5).

კომპანია დაარსდა და საქმიანობას ეწევა საქართველოში. კომპანია დაფუძნდა 2018 წლის 15 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 400251543.

კომპანიის მფლობელები იყვნენ:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შპს C-C-E-H Hydro IV	72%	72%
შპს LPV Co	20%	20%
შპს Hydro Energy	8%	8%

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია შპს C-E-H Hydro IV წარმოადგენს კომპანიის წილობრივი უმრავლესობის მფლობელ მესაკუთრეს და არის Caucasus Clean Energy Fund I, L.P.-ის შვილობილი კომპანია. (შემდგომში "CCEF" ან "ფონდი"). CCEF წარმოადგენს პარტნიორობას, რომელიც ორიენტირებულია საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების („ჰესები“) სააქციო კაპიტალით უზრუნველყოფაზე. ფონდი მოიცავს წამყვან განვითარების საფინანსო ინსტიტუტებს, საოჯახო ფირმებს და ინსტიტუციონალურ ინვესტორებს. შპს „LPV Co“ არის ისლანდიის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიის (Landsvirkjun Power) და საინჟინრო და დეველოპერული კომპანიის შვილობილი კომპანია. შპს „Hydro Energy“ კომპანიის ყოფილი ერთადერთი მფლობელი და დეველოპერია.

ძირითადი საქმიანობა. შპს აისი არის საწარმო, რომელიც ფლობს ჰესებს ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2 (შემდგომში „პროექტი“) ახალქალაქის რაიონში, საქართველოში. კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ფლობა და ექსპლუატაცია. კომპანია ყველა საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. 2016 წლის 7 ოქტომბერს, კომპანიამ პროექტის განვითარებისთვის ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს („MoU“) საქართველოს მთავრობასთან („GoG“). 2020 წლის აგვისტოში კომპანიამ დაიწყო პროექტის სამშენებლო საქმიანობა სხვადასხვა კონტრაქტორთან (სამშენებლო კომპანიებთან, ელექტრომექანიკური აღჭურვილობის პროვაიდერებთან, ჰიდრომექანიკური აღჭურვილობის პროვაიდერებთან) ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ. ახალქალაქი 1-მა ფუნქციონირება დაიწყო 2022 წლის 2 ნოემბერს, ხოლო ახალქალაქი 2 ამოქმედდა 2022 წლის 10 ნოემბერს. ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება („PPA“) ხელმოწერილია ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან („ესკო“). ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, კომპანიას აქვს შესაძლებლობა ელექტროენერგია ექსკლუზიურად ესკო-ს მიჰყიდოს 8 თვის განმავლობაში (სექტემბერი-აპრილი) მაქსიმალური ფასით 6.00 აშშ ცენტი/კვტ.სთ, ან გაყიდოს ელექტროენერგია ნებისმიერ მხარეზე საქართველოში. ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, კომპანიას ასევე აქვს უფლება მოახდინოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში დარჩენილი 4 თვის განმავლობაში (მაისი-აგვისტო).

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდა, გ. ლეონიძის ქ. N2ა. კომპანიის საოპერაციო ჰესების ადგილმდებარეობაა საქართველო, ახალქალაქის რაიონი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილი საქართველოა. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს, უცხოური ვალუტის კურსების ცვალებადობას ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში და ა.შ.. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსულმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. კომპანიას არ აქვს პირდაპირი კავშირი უკრაინასთან, რუსეთთან და ბელარუსთან. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ეს არ მოახდენს შესაძენვე გავლენას კომპანიის საქმიანობაზე. ვინაიდან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია სანდოდ შეფასდეს სრული გავლენა, რაც ამას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ეკონომიკაზე ზეგავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

არსებული ეკონომიკური სიტუაციის გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, როგორც ეს მოდიფიცირებულია სამართლიან ღირებულებაზე დაფუძნებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისთვის, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებების გამოყენება. ასევე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობას ეწევა. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლ“) რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს. ქართულ ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც სხვაგვარად არის მითითებული.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ოპერაციები და ნაშთები. ბალანსის თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში, ამ თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ასეთი ოპერაციების ანგარიშსწორებით და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირებით მიღებული შემოსულობები და ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სავალუტო შემოსულობა და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან, წარმოდგენილია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში "საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო ფინანსურ საქმიანობაზე". ყველა სხვა სავალუტო შემოსულობა და ზარალი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც "საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, ნეტო".

ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ლარი/აშშ დოლარი	2.8068	2.6894	2.7020
ლარი/ევრო	2.9306	2.9753	2.8844

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის თანხითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

ცვეთა. ძირითად საშუალებებზე ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით ისე, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათ ნარჩენ ღირებულებაზე, შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
ჰესის შენობები და ნაგებობები	40 წელი
ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობა	25 წელი
ავტომობილები	5 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლებისთვის ნარჩენი ღირებულებები შეფასებულია, როგორც ნულის ტოლი.

აქტივების გამოყენების უფლება. მშენებლობის უფლების ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანია იჯარით იღებს მიწის ნაკვეთებს, სადაც მდებარეობს ჰესები ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2.

იჯარისგან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შედგება შემდეგისგან:

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების ოდენობა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდები, რომლებიც განხორციელდა დაწყების თარიღამდე ან თარიღისთვის, რომელიც შემცირებულია მიღებული საიჯარო წამახალისებლებით,
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- საიჯარო ხელშეკრულებებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აქტივის აღდგენისათვის გაწეული ნებისმიერი ხარჯი

აქტივების გამოყენების უფლება შემდგომში შეფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალი, კორექტირდება იჯარების გარკვეული გადაფასებებისთვის. აქტივების გამოყენების უფლების მუხლების ცვეთა გამოითვლება იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, შემდეგნაირად:

	ცვეთის პერიოდი
მიწა	49 წელი

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს ანიჭებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულის კლასიფიკაციას.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. კომპანია აღნიშნული აქტივების მართვას ახორციელებს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“).

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ბანკებში, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ზარალის ანარიცხის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით (ამ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ დეტალები იხილეთ 21-ე შენიშვნაში).

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული გადახდების (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდების) წმინდა დღევანდელ ღირებულებას, მისაღები საიჯარო წამახალისებლების გამოკლებით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეუძლებელია, რაც ზოგადად კომპანიის იჯარებს ახასიათებს, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც კომპანია გადაიხდიდა მსგავს ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი პირობებითა და უზრუნველყოფით აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის შესაძენად საჭირო სახსრების სესხებისთვის.

საიჯარო გადახდები ნაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში ისე, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი, მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა ვადა 12 თვე ან ნაკლებია.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა დამტკიცებულია კომპანიის მფლობელის მიერ და აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

ამონაგების აღიარება.

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას.

ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის საზღაური, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები ნაჩვენებია ფასდათმობების და დღგ-ს გარეშე. ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება პერიოდის განმავლობაში.

ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია

ამონაგების აღიარება ხდება კომპანიის ელექტროსადგურების მიერ გაყიდული ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით.

ელექტროენერგიის გაყიდვის ტარიფი განსაზღვრულია PPA-ს საფუძველზე, იურიდიულ პირებთან (მსხვილი მომხმარებელი, საბითუმო მიმწოდებელი (მოვაჭრე) გაფორმებული ადგილობრივი და საექსპორტო ხელშეკრულებების საფუძველზე.

ელექტროენერგიის გაყიდვების აღიარება ხდება ყოველთვიურად აღრიცხვის მოწყობილობების ჩვენების საფუძველზე. ეს მოწყობილობები დამონტაჟებულია კომპანიის ელექტროსადგურის გადამცემ/გამანაწილებელ ქსელებთან მიერთების ადგილზე.

მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიწოდებულია კომპანიის ელექტროსადგურის გადამცემ/გამანაწილებელ ქსელებთან მიერთების ადგილზე, რადგან ეს არის დროის ის მომენტი, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, რადგან მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო, რომ გადახდა ვადადამდგარი გახდეს. საანგარიშგებო პერიოდისთვის გადაცემული ელექტროენერგიის ფაქტობრივი მოცულობა დასტურდება ელექტროენერგიის წარმოებისა და მიწოდების მიღება/ჩაბარების აქტით. ინვოისის მომხმარებელზე გაიცემა ყოველთვიურად.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდისთვის გამომუშავებული და გადაცემული ელექტროენერგიის ფაქტობრივი მოცულობა დასტურდება შესაბამისი შედარების აქტით, რომლებიც ყოველთვიურად მზადდება და ფორმდება მომხმარებლებთან აღმრიცხველი მოწყობილობების ჩვენების საფუძველზე. მომხმარებლებისთვის ანგარიშის წარდგენა ხდება ყოველთვიურად, ყოველი თვის ბოლო დღეს, ხოლო PPA-ს შემთხვევაში, ანაზღაურება გადასახდელია არაუგვიანეს მომდევნო თვის 25 დღისა.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულ საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გრანტები. გრანტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, როდესაც გონივრული რწმუნება არსებობს, რომ კომპანია დააკმაყოფილებს ყველა პირობას და გრანტს მიიღებს. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები გრძელვადიან ვალდებულებებშია ასახული გადავადებული შემოსავლის სახით და მოგებაში ან ზარალში აისახება წრფივი მეთოდის საფუძველზე, დაკავშირებული აქტივების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. დანახარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები გადავადდება და წლის მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით აღიარდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა იმ დანახარჯებთან შეპირისპირებისთვის, რომელთა ანაზღაურებისთვის არის გამიზნული გრანტი.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდების გადანაწილების შედეგად, აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილ ავანსებსა და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეულ ოპერაციებზე, ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტით, აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებების აღრიცხვა მოგების გადასახადის პოზიციისათვის განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ უფრო სავარაუდოა, რომ არ მოხდება დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ საგადასახადო ორგანოების მხრიდან ეჭვს ქვეშ დადგება. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და სხვა გადასახადებთან გარდა მოგების გადასახადისა, დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციებისთვის კორექტირებები აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“) გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის (ა) მომხმარებელთაგან მოთხოვნების დაფარვის ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს, რომელიც უფრო ადრე მოხდება. ჩასათვლელი დღგ, როგორც წესი, ანაზღაურდება გადასახდელი დღგ-დან დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მხრიდან დღგ-ის ანგარიშსწორება ნებადართულია ნეტო საფუძველზე. ელექტროენერგიის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

EBITDA. EBITDA განისაზღვრება, როგორც შემოსავალი პროცენტამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე და საფინანსო საქმიანობაზე სავალუტო კურსის ცვლილებით განპირობებულ (ზარალამდე)/მოგებამდე. EBITDA მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც შუალედური ჯამი.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ EBITDA-ს წარდგენა იძლევა სანდო და უფრო შესაბამის ინფორმაციას. EBITDA ყურადღებას ამახვილებს საოპერაციო გადაწყვეტილებების ფინანსურ შედეგზე, ხელმძღვანელობის ისეთი არასაოპერაციო გადაწყვეტილებების ზემოქმედების ელიმინირების გზით, როგორიცაა, მაგალითად, საგადასახადო განაკვეთები, საპროცენტო ხარჯები. EBITDA არის მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებელი, რომელსაც იყენებენ დაინტერესებული მხარეები ბიზნესის შეფასებისთვის, ხელმძღვანელობის ეფექტურობის შეფასებისთვის და ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების გაანგარიშებისთვის.

განმარტების მიხედვით, EBITDA არ მოიცავს საფინანსო საქმიანობაზე საკურსო სხვაობით განპირობებულ (ზარალს)/შემოსულობას. შესაბამისად, საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო, იყოფა ორ ცალკეულ ელემენტად საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, (საფინანსო საქმიანობის გამოკლებით), ნეტო და საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო, საფინანსო საქმიანობაზე, ნეტო.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება გამოცემის შემდეგ მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობის თანხმობას, რომელმაც დაამტკიცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად.

4 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ამასთან, ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, იმ განსჯის გარდა, რომელიც მოიცავს შეფასებებს, იყენებს გარკვეულ განსჯას.

განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების სამომავლო მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. კომპანიას, უახლოეს მომავალში მისი საქმიანობის გასაგრძელებლად, აქვს საჭირო რესურსები.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ტექნიკური მოძველების, ფიზიკური ცვეთის და იმ ფიზიკური გარემოს შესაბამისად, სადაც აქტივი ოპერირებს. ამ რომელიმე პირობის, ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები სამომავლო ცვეთის განაკვეთებისთვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა 5%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე გავლენა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იქნება მისი 105 ათასი ლარით ზრდა ან 96 ათასი ლარით შემცირება (2023: ზრდა 105 ათასი ლარით ან შემცირება 95 ათასი ლარით).

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონის შემდეგ) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

იჯარით აღებული მიწებისთვის ტიპიურად, ყველაზე შესაბამისი შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, კომპანიას აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).
- თუ მოსალოდნელია, რომ რომელიმე საიჯარო გაუმჯობესებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, ჩვეულებრივ, კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე).

საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს დისკონტირების განაკვეთის გამოსათვლელად, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის ადვილად განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.

4 ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობისა და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი განისაზღვრა 14.20%-ით, რომელიც წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთს ლარში დენომინირებული ვალისთვის, რომელიც მორგებულია კომპანიის ინდუსტრიაზე და საიჯარო სახელშეკრულებო პირობებზე (ვალუტა, დაფარვის ვადა, მიზანი), რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დისკონტირების განაკვეთის 5%-იანი ზრდა ან შემცირება გამოიწვევს საიჯარო ვალდებულებების შემცირებას ან ზრდას შესაბამისად 41 ათასი ლარითა და 83 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერი: 42 ათასი ლარი და 84 ათასი ლარი).

5 ფასს-ების პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომლებიც შეესაბამება ფასს-ს. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, ფასს 1 მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტულ გამოყენებას, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს-ის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას და პირველ, ფასს-ების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში. კომპანიის წინა, საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (მსს ფასს-ები).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები სხვა ფასს-ების რეტროსპექტულ გამოყენებაზე და გადაწყვიტა შემდეგი არჩევითი გამონაკლისის გამოყენება:

- (ა) **ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები.** კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს ბასს 23-ის მითითებები, რომელიც მოითხოვს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციას ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან.

რეტროსპექტული გამოყენების გამონაკლისები, რომლებიც სავალდებულოა ფასს 10-ის მიხედვით, შემდეგია:

- ა) **შეფასებების გამონაკლისი.** შეფასებები, ფასს-ის მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უნდა შეესაბამებოდეს წინა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით იმავე თარიღებისთვის გაკეთებულ შეფასებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ აღნიშნულ შეფასებებში არსებობდა ცდომილება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ამ სავალდებულო გამონაკლისის შესაბამისად.
- ბ) **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის გამონაკლისი.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელთა აღიარებაც შეწყდა ფასს-ზე გადასვლამდე, ხელახლა არ აღიარებულა ფასს-ის შესაბამისად. ხელმძღვანელობას არ აუარჩევია ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმების გამოყენება უფრო ადრეული თარიღიდან. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ სავალდებულო გამონაკლისის შესაბამისად.
- გ) **ჰეჯირების აღრიცხვის გამონაკლისი.** კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

5 ფასს-ების პირველად გამოყენება (გაგრძელება)

- დ) **ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება.** კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა მისი ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების პირობებს ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე. იმ შემთხვევებში, როდესაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის რეტროსპექტული გამოყენება კომპანიისთვის შესაძლებელი არ არის, ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის ფინანსური აქტივების, ან (და) ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არის ამ ფინანსური აქტივების ახალი მთლიანი საბალანსო ღირებულება, ან ამ ფინანსური ვალდებულებების ახალი ამორტიზებული ღირებულება, ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის. ეს გამონაკლისი შეფასდა კომპანიის მიერ, მაგრამ მსგავს ნაშთებს ადგილი არ ჰქონიათ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.
- ე) **ფინანსური აქტივების გაუფასურება.** ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები გამოიყენება რეტროსპექტულად. იმ შემთხვევებში, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დადგენა მოითხოვს გაუმართლებელ ხარჯებს ან ძალისხმევას, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიაროს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, სანამ ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება არ შეწყდება (თუ ეს ფინანსური ინსტრუმენტი არ არის დაბალი საკრედიტო რისკის მქონე საანგარიშგებო თარიღისთვის). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ სავალდებულო გამონაკლისის შესაბამისად, თუმცა მას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა ნაშთებზე, ფასს-ზე გადასვლის თარიღით.
- ვ) **ჩართული წარმოებულები.** კომპანიას არ გააჩნია ჩართული წარმოებულები.
- ზ) **სამთავრობო სესხები.** კომპანიას არ გააჩნია სამთავრობო სესხები.
- თ) **არამაკონტროლებელი წილების გამონაკლისი.** კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები და შესაბამისად, არ გააჩნია არამაკონტროლებელი წილები, როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ მიხედვით. შედეგად, ფასს 1-ის მიხედვით, არამაკონტროლებელ წილებთან დაკავშირებული სავალდებულო გამონაკლისები არ ვრცელდება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მცირე და საშუალო საწარმოთა ფასს-სა და სრულ ფასს-ს შორის განსხვავებების მთავარი კორექტირებები განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

იჯარა ფასს 16-ის მიხედვით. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის ფარგლებში, მოთხოვნილი იყო კორექტირების განხორციელება ფასს 16-ის მიხედვით აქტივების გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების ფასს 16-ის შესაბამისად აღიარებისთვის, ფინანსური მდგომარეობის ფასს -ის მიხედვით მომზადებულ საწყის ანგარიშგებაში 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მის პირველ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში, წინა, საზოგადოდ მიღებულ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებთან (GAAP) შედარებით, როდესაც თანხები ასახული იყო მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5 ფასს-ების პირველად გამოყენება (გაგრძელება)

შემდეგი შეჯერებები იძლევა მცირე და საშუალო საწარმოთა ფასს-ებიდან ფასს-ზე გადასვლის გავლენის რაოდენობრივ შეფასებას 2023 წლის 1 იანვრის, 2023 წლის 31 დეკემბრის, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრით და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
საკუთარი კაპიტალი წინა GAAP-ის მიხედვით	27,006	27,222	27,146
<i>სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა:</i>			
აქტივების გამოყენების უფლება	153	156	160
საიჯარო ვალდებულება	(160)	(182)	(160)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	-	23	-
ფასს საკუთარი კაპიტალი	26,999	27,219	27,146

ათასი ლარი	2024	2023
ზარალი წინა GAAP-ის მიხედვით	(351)	(239)
<i>სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა:</i>		
ამორტიზაცია: აქტივების გამოყენების უფლების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	(3)	(3)
ფინანსური ხარჯები : საიჯარო ვალდებულების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	(23)	(23)
სხვა საოპერაციო ხარჯები: საიჯარო ვალდებულების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	23	23
სულ სრული ზარალი ფასს-ების მიხედვით	(354)	(242)

კომპანიის საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო ფულადი ნაკადები, რომელიც ანგარიშგებულია მსს ფასს-ების მიხედვით, მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ფასს-ებისგან.

6 საზღვალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის, რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის)

ფასს-ის სააღრიცხვო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ფასს 9-სა და ფასს 7-ში შეტანილ ცვლილებებს (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილებები:

ათასი ლარი	მიწა	ჰესების შენობები და ნაგებობები	ელექტრომექანიკური ი და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	ავტომობილები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სათადარიგო ნაწილები	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	77	54,014	15,711	97	129	-	-	70,028
დამატებები	-	67	-	17	-	-	-	84
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	77	54,081	15,711	114	129	-	-	70,112
დამატებები	-	46	356	15	84	6	87	594
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	77	54,127	16,067	129	213	6	87	70,706
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	159	74	63	17	-	-	313
წლის დარიცხვა	-	1,352	628	20	10	-	-	2,010
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	1,511	702	83	27	-	-	2,323
წლის დარიცხვა	-	1,357	636	20	14	-	-	2,027
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	2,868	1,338	103	41	-	-	4,350
საბალანსო ღირებულებები								
2023 წლის 1 იანვარს	77	53,855	15,637	34	112	-	-	69,715
2023 წლის 31 დეკემბერს	77	52,570	15,009	31	102	-	-	67,789
2024 წლის 31 დეკემბერს	77	51,259	14,729	26	172	6	87	66,356

დაგირავებული აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-19 შენიშვნა.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	634	587	564
სხვა მოთხოვნები	185	177	-
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(170)	(144)	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	649	620	564
საგადასახადო მოთხოვნები	200	186	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	849	806	564

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს მოთხოვნებს ელექტროენერგიის რეალიზაციიდან.

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 21.

9 ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები ბანკში	3,830	2,222	426
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,830	2,222	426

იმ ბანკების საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციისთვის, სადაც კომპანიის ფულადი სახსრებია განთავსებული, იხილეთ შენიშვნა 21.

10 საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 21 სექტემბერს შპს CCEH Hydro IV-მ დააარსა ერთობლივი საწარმო, რათა განეხორციელებინა პროექტი შპს LPV Co -სთან და შპს Hydro Energy -სთან, ადგილობრივ ქართველ დეველოპერთან. ერთობლივი საწარმოს („JV“) ხელშეკრულების თანახმად, პროექტის განვითარება ორ ეტაპად დაიყოფა:

- I ფაზა: პროექტის მიზანშეწონილობის განსაზღვრის ეტაპი, რომელიც მთავრდება პროექტის მშენებლობის შეთავაზების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის შემდეგ; შესაბამისად, I ფაზა დასრულდა 2020 წლის დეკემბერში.
- II ფაზა: პროექტის მიზანშეწონილობის განსაზღვრების შემდგომი ეტაპი, მას შემდეგ, რაც პროექტის მშენებლობის შესახებ შესაბამისი შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან შესრულდება.

2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 257 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (688 ათასი ლარი), რაც მოიცავდა შპს „ჰიდრო ენერჯის“ მიერ 59 ათასი აშშ დოლარის (155 ათასი ლარი) ოდენობის არაფულად შენატანს, საქართველოს მთავრობასთან ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობების მიხედვით.

2019 წელს საწყისი შენატანი გაიზარდა 456 ათასი აშშ დოლარით (1,283 ათასი ლარი), 2020 წელს - 5,089 ათასი აშშ დოლარით (16,107 ათასი ლარი), ხოლო 2021 წელს - 2,108 ათასი აშშ დოლარით (6,739 ათასი ლარი).

2023 წელს საწესდებო კაპიტალში 120 ათასი აშშ დოლარის (315 ათასი ლარი) დამატებითი შენატანი განხორციელდა, რის შედეგადაც საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 10,500 ათას აშშ დოლარამდე (32,418 ათასი ლარი).

2024 წელს საწესდებო კაპიტალში 50 ათასი აშშ დოლარის (134 ათასი ლარი) დამატებითი შენატანი განხორციელდა, რის შედეგადაც საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 10,550 ათას აშშ დოლარამდე (32,552 ათასი ლარი).

11 ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
საბანკო სესხი	44,077	43,415	42,717
სულ ნასესხები სახსრები	44,077	43,415	42,717

კომპანიას სს თიბისი ბანკთან გაფორმებული აქვს შემდეგი სასესხო ხელშეკრულებები:

სესხი #1 –12,985 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის თარიღით 2037 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გაცემულია რამდენიმე ტრანშის სახით 2021 და 2022 წლებში, გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

სესხი #2 –1,515 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის ვადა 2028 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

სესხი #3 –1,000 ათასი აშშ დოლარი, დაფარვის ვადა 2037 წლის 25 იანვარი (2024 წელს განხორციელებულ მოდიფიკაციამდე), გადასახდელია ექვსთვიან საფუძველზე.

11 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2024 წლის 25 მარტს, კომპანიამ შეცვალა სს „თიბისი ბანკთან“ არსებული ყველა დაუფარავი სესხის ხელშეკრულების პირობები, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის (რომელიც გამოყენებადია 2022 და 2023 წლების პერიოდებისთვის, ასევე 2024 წლის პირველი 25 დღისთვის) ორი წლის განმავლობაში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის გზით, რასაც შემდგომში მოჰყვება მცოცავი განაკვეთი. დაფარვის ვადები გაგრძელდა 2038 წლის 25 ივლისამდე.

სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით კომპანიას აქვს საშეღავათო პერიოდი მშენებლობის ფაზის განმავლობაში და ძირითადი თანხის ნაშთის პირველი სახელშეკრულებო გადახდის ვალდებულება იწყება 2023 წლის მეორე ნახევრიდან.

ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით დაგირავებულია კომპანიის ყველა აქტივი, ისევე, როგორც კომპანიის 100% საკუთრების წილი (შენიშვნა 19).

კომპანია ექვემდებარება გარკვეულ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებს, რომლებიც, ძირითადად, სს თიბისი ბანკისგან მიღებულ ნასესხებ სახსრებთანაა დაკავშირებული (შენიშვნა 19).

12 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებების ანალიზს და კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან ვალდებულებების ცვლილებას თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც საფინანსო:

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	43,415	183	43,598
ფულადი ნაკადები			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	1,890	-	1,890
ნასესხები სახსრების დაფარვა	(345)	-	(345)
გადახდილი პროცენტი	(4,471)	(45)	(4,516)
სულ ფულადი ნაკადები	(2,926)	(45)	(2,971)
არაფულადი ცვლილებები			
ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა	1,796	-	1,796
ნასესხები სახსრების რესტრუქტურისა და ციკლისთან	(2,900)	-	(2,900)
დაკავშირებული შემოსულობები, შემცირებული ზარალით			
დარიცხული პროცენტი	4,692	23	4,715
სულ არაფულადი ცვლილებები	3,588	23	3,611
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2024 წლის 31 დეკემბერს	44,077	161	44,238

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	42,717	160	42,877
ფულადი ნაკადები			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	1,158	-	1,158
ნასესხები სახსრების დაფარვა	(777)	-	(777)
გადახდილი პროცენტი	(4,015)	-	(4,015)
სულ ფულადი ნაკადები	(3,634)	-	(3,634)
არაფულადი ცვლილებები			
ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა	(207)	-	(207)
დარიცხული პროცენტი	4,539	23	4,562
სულ არაფულადი ცვლილებები	4,332	23	4,355
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2023 წლის 31 დეკემბერს	43,415	183	43,598

13 აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

მშენებლობის უფლების ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანია იჯარით იღებს მიწის ნაკვეთებს, სადაც მდებარეობს ჰესები ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2. მოცემული ხელშეკრულებები გაფორმებულია ფიქსირებული პერიოდებისთვის - 49 წელი.

იჯარის ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ახდენს საიჯარო გადახდების დისკონტირებას იჯარის აღიარების თარიღისთვის მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით. კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებების ფულადი ნაკადები დენომინირებულია ლარში. 2024 და 2023 წლებში გამოყენებული განაკვეთი დაახლოებით 14.2%-ს შეადგენდა.

ათასი ლარი	2024	2023
აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	157	160
ამორტიზაციის ხარჯი	(3)	(3)
აქტივების გამოყენების უფლების მთლიანი ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	160	160
დაგროვილი ამორტიზაცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6)	(3)
აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	154	157

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად აღიარა:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	140	140	160
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	21	43	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	161	183	160

2024 წლის ფინანსურ ხარჯებში შეყვანილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 23 ათასი ლარი (2023: 23 ათასი ლარი).

მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები შეყვანილია სხვა საოპერაციო ხარჯებში, ადგილობრივი მიწის ქირავნობის, დასუფთავების საფასურისა და ქირავნობის ხარჯების ნაწილში (შენიშვნა 15).

14 ამონაგები

ათასი ლარი	2024	2023
ელექტროენერგიის გაყიდვა ქვეყნის შიგნით	6,838	8,201
ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვა	1,295	-
სულ ამონაგები	8,133	8,201

ამონაგები წარმოადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. 2024 წლის ზაფხულის სეზონზე (მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო) კომპანიამ წარმოებული ელექტროენერგიის 43.29% თურქეთში ექსპორტზე გაიტანა (2023: კომპანიამ 3,424 ათასი ლარის ამონაგები გამოიმუშავა ადგილობრივი მოვარდებისთვის - თურქეთში ექსპორტის მიზნით - ელექტროენერგიის რეალიზაციიდან).

2024 წელს კომპანიამ საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებით 321 ათასი ლარის ელექტროენერგიის გადაცემის საფასური გადაიხადა (2023: ნული).

15 სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2024	2023
გადასახადების ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	674	690
საკუთრების დაზღვევა	173	145
პროფესიონალური მომსახურების საფასური	159	155
რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	89	108
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის დანახარჯი (ESG) *	63	91
წარმომადგენლობითი ხარჯები	40	9
ქირავნობის ხარჯები	36	37
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები	26	144
კომუნალური ხარჯები	20	25
საოფისე მარაგები	17	9
სხვა	140	319
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	1,437	1,732

*გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) დანახარჯი მოიცავს წყლის ანალიზთან, ბიომრავალფეროვნებისა და იხტიოფაუნის მონიტორინგსა და კვლევასთან დაკავშირებულ კვლევასა და განვითარების ხარჯებს 20 ათასი ლარის ოდენობით (2023: 41 ათასი ლარი ძირითადად სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის).

16 საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებების, როგორც კორექტირებული ამონაგები, კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA მარჯა, წარდგენა უზრუნველყოფს ღირებულ ინფორმაციას მისი ფინანსური საქმიანობის შედეგების შესახებ, რათა კომპანიის მაჩვენებლები შედარებადი იყოს ინდუსტრიის სხვა კომპანიებთან და გაანალიზდეს წლების განმავლობაში განმეორებადი საქმიანობის შედეგების ოპერაციული მაჩვენებლები, გარდა არარეგულარული მუხლებისა. კომპანია ამ მაჩვენებლებს იყენებს კომპანიის საქმიანობის შედეგების შესაფასებლად.

კორექტირებული ამონაგები, კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA მარჯა მოცემულია ქვემოთ:

a) კორექტირებული ამონაგები

ათასი ლარი	2024	2023
ამონაგები	8,133	8,201
საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებული ელექტროენერგიის გადაცემის ხარჯები	(321)	-
კორექტირებული ამონაგები *	7,812	8,201

* კორექტირებული ამონაგები. კორექტირებული ამონაგები გამოითვლება საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებული ელექტროენერგიის გადაცემის საფასურის ამონაგებიდან გამოქვითვის გზით. ზაფხულის სეზონის განმავლობაში, რომელიც არ რეგულირდება ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებით, კომპანია ელექტროენერგიას ყიდის ადგილობრივ ბაზარზე, ან ექსპორტის მეშვეობით, ძირითადად თურქეთში. როდესაც ელექტროენერგია იყიდება საექსპორტოდ, მარეგულირებლისათვის ხდება ელექტროენერგიის გადაცემის არსებითი საფასურის გადახდა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ადგილობრივი გაყიდვებისთვის დაწესებული საფასურისგან. წმინდა საექსპორტო გაყიდვების ფასები (გამოითვლება როგორც ერთეულის ფასს გამოკლებული ერთეულის გადაცემის საფასური) ისტორიულად მიუახლოვდა ზაფხულის ადგილობრივი გაყიდვების ფასებს. თუმცა, რადგან საექსპორტო გაყიდვები შეიძლება ყოველწლიურად არ განმეორდეს, შესაძლოა წარმოიშვას მთლიანი ამონაგების რყევები, რაც ართულებს პერიოდებს შორის პირდაპირი შედარების გაკეთებას. საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზში თანამიმდევრულობისა და შედარებადობის გასაუმჯობესებლად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კორექტირებული ამონაგების გამოყენება უფრო ზუსტად ასახავს ძირითად ბიზნეს ოპერაციებს ისეთი მთავარი საქმიანობის შედეგების მაჩვენებლების გაანგარიშებისას, როგორც კორექტირებული EBITDA მარჯა, ან EBITDA მარჯა.

16 საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები (გაგრძელება)**b) EBITDA და კორექტირებული EBITDA**

ათასი ლარი	2024	2023
სულ წლის სრული ზარალი	(354)	(242)
ცვეთა და ამორტიზაცია	2,031	2,014
ფინანსური ხარჯები	4,862	4,586
ფინანსური შემოსავალი	(2,900)	-
სავალუტო ზარალი/(შემოსულობა), ნეტო, ფინანსურ საქმიანობაზე	1,796	(207)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
EBITDA	5,435	6,151
სპეციფიური არარეგულარული მუხლები*** (იხილეთ ქვემოთ)	209	(80)
კორექტირებული EBITDA**	5,644	6,071

კორექტირებული EBITDA. კორექტირებული EBITDA გამოითვლება EBITDA-ს კორექტირებით, რათა გამოირიცხოს კონკრეტული არარეგულარული მუხლები, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, არ უნდა იქნას გათვალისწინებული კომპანიის მიმდინარე რეგულარული საქმიანობის შედეგების შეფასებისას. ეს კონკრეტული მუხლები მოიცავს: (1) არაფულად შემოსავალს და ხარჯებს, რომლებიც წარმოიქმნება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან, ან ჩამოწერიდან, ან სხვა, მსგავსი არარეგულარული ოპერაციებიდან; და (2) არარეგულარული, არაოპერაციული მუხლები, რომლებიც არ ასახავს კომპანიის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის შედეგებს.

c) სპეციფიური მუხლები***

ათასი ლარი	2024	2023	კლასიფიკაცია
არა-საოპერაციო, ერთჯერადი შემოსავალი *	-	(612)	სხვა შემოსავალი
არა-საოპერაციო, სოფლის ინფრასტრუქტურა და სოციალური ხარჯები	-	33	სხვა საოპერაციო ხარჯები
ერთჯერადი წარმომადგენლობითი ხარჯები	31	-	სხვა საოპერაციო ხარჯები
ერთჯერადი საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურების საფასური	44	45	სხვა საოპერაციო ხარჯები
ერთჯერადი რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	4	37	სხვა საოპერაციო ხარჯები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	26	144	სხვა საოპერაციო ხარჯები
სხვა ერთჯერადი ხარჯები	104	273	სხვა საოპერაციო ხარჯები
სულ სპეციფიური მუხლები	209	(80)	

*მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება საგრანტო შემოსავლისგან (შენიშვნა 18).

16 საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები (გაგრძელება)**d) კორექტირებული EBITDA მარჟა**

კორექტირებული EBITDA მარჟა და EBITDA მარჟა გამოითვლება კორექტირებული EBITDA-ს და EBITDA-ს კორექტირებულ ამონაგებზე გაყოფით, შესაბამისად.

ათასი ლარი	2024	2023
EBITDA	5,435	6,151
კორექტირებული EBITDA	5,644	6,071
კორექტირებული ამონაგები	7,812	8,201
EBITDA მარჟა %	69.57%	75.00%
კორექტირებული EBITDA მარჟა %	72.25%	74.03%

17 ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო

ათასი ლარი	2024	2023
ფინანსური ხარჯები	(4,862)	(4,586)
საპროცენტო ხარჯი	(4,715)	(4,561)
გარანტიის საფასური	-	(25)
სხვა	(147)	-
ფინანსური შემოსავალი	2,900	-
ნასესხები სახსრების რესტრუქტურის შედეგად მიღებული შემოსულობები, შემცირებული ზარალით (შენიშვნა 12)	2,900	-
სავალუტო (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო, ფინანსურ საქმიანობაზე	(1,796)	207
ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი, ნეტო	(3,758)	(4,379)

18 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2024	2023
სუბსიდიები	-	437
სხვა	-	175
სულ, სხვა შემოსავალი	-	612

2023 წლის იანვარში კომპანიამ ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2 ჰესების მშენებლობისთვის, ვაჭრობის მხარდაჭერის სქემის ფარგლებში, 151 ათასი ევროს ოდენობის სუბსიდია მიიღო.

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები ახასიათებს, რომლებიც ხშირად გაურკვეველი და ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც შესაბამისად მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები, სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვასა და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც მძიმე საურავების, ჯარიმებისა და საპროცენტო ხარჯების დაკისრების ძალაუფლება აქვთ. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესაძლებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც ბევრ სხვა ქვეყანაში არსებულ მსგავს რისკებზე არსებითად მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისი ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და შესაბამისად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანოები წამატებით აღასრულებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს.

ვალდებულება საქართველოს მთავრობის წინაშე. 2016 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს მთავრობასთან ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის (მემორანდუმის) საფუძველზე, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2022 წლის 23 თებერვალს, კომპანიას აქვს ვალდებულება ააშენოს ჰესები და აქვს შესაძლებლობა გაყიდოს ელექტროენერგია ექსკლუზიურად ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორზე ("ESCO"). ") 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან აპრილამდე) 5.8 აშშ დოლარის ცენტი/კვტ/სთ-სთვის ფასში პირველი 15 წლის განმავლობაში ან ნებისმიერ სხვა მხარეზე საქართველოში. კომპანიას ვალდებულება აქვს დაასრულოს ჰესების მშენებლობა 2022 წლის 26 დეკემბრამდე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შესაბამისობაში იყო მთავრობის მიმართ არსებულ ვალდებულებებთან.

საქართველოს მთავრობასთან 2022 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის (მემორანდუმის) საფუძველზე, კომპანიას აქვს ოფციონი, რომ ელექტროენერგია გაყიდოს ექსკლუზიურად ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორზე ("ESCO") 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან აპრილამდე), 6.00 აშშ დოლარის ცენტი/კვტ/სთ მაქსიმალურ ფასად ოპერირების პირველი 10 წლის განმავლობაში, ან ნებისმიერ სხვა მხარეზე საქართველოში.

ESCO-სთან გაფორმებული ელექტროენერგიის ათი წლიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას ("PPA") ხელი მოეწერა 2022 წლის 23 სექტემბერს და ძალაში შევიდა 2022 წლის 8 ნოემბერსა და 2022 წლის 17 ნოემბერს ახალქალაქი 1 ჰესისთვის და ახალქალაქი 2 ჰესისთვის, შესაბამისად.

საბანკო გარანტიები. კომპანიამ უზრუნველყო საბანკო გარანტია ხელმოწერილი მემორანდუმის შესაბამისად:

- 910 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სამშენებლო საბანკო გარანტია გაცემულია შპს C-C-E-H Hydro IV-ის მიერ კომპანიის სახელით 2020 წლის 2 ივლისს, რომელიც საქართველოს მთავრობამ უნდა გაათავისუფლოს სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე. გარანტია გაცემულ იქნა 2023 წლის მაისში.
- ამასთან, კომპანიის მიერ 2021 წლის 5 თებერვალს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტზე გაცემულია საბანკო გარანტია 2,449 ათასი ლარის ოდენობით. გარანტიის დაუფარავი ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო 306 ათასი ლარი. გარანტიის ვადა დასრულდა 2023 წლის 22 დეკემბერს.

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. სს თიბისი ბანკთან არსებული ნასესხები სახსრების ხელშეკრულებების მიხედვით, ბანკში დაგირავებულია კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება, აგრეთვე საკუთრების წილი.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ასპექტები კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია და პროექტის განვითარების სრული პროცესი ფასდება და ვითარდება მსოფლიოში აღიარებული ESG სტანდარტების (EIB, IFC) გათვალისწინებით.

სოციალური საკითხები. 2020 წელს კომპანიამ აიღო ვალდებულება დააფინანსოს გარკვეული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები ახალქალაქის ჰესების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი საზოგადოებისთვის. ეს ინიციატივა პროექტის დასაწყისშივე წარმოიშვა, რათა უზრუნველყოფილიყო ჰესების უწყვეტი განვითარება ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი გამოწვევების გარეშე. გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მიერ განსახორციელებელი სოციალური პროექტების სიებს. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არამედ კომპანიის განზრახვაა, მხარი დაუჭიროს ადგილობრივ თემებს.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებებს, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადად სს თიბისი ბანკიდან მის მიერ ნასესხებ სახსრებთან და აკრედიტებთან. ასეთ შეთანხმებებთან შესაბამისობა კომპანიისთვის შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორისაა ნასესხები სახსრების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანია არ იყო ზოგიერთ შეთანხმებულ პირობასთან სრულად შესაბამისობაში დასრულებული წლების განმავლობაში და 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუმცა სს თიბისი ბანკისგან მიღებულია უარი მოთხოვნის უფლებაზე 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 29 დეკემბრის, შესაბამისად. აღნიშნული უარის წერილები სს თიბისი ბანკისათვის ნიშნავს უარის თქმას შეთანხმებული პირობების დარღვევასთან დაკავშირებულ პრეტენზიებსა და უფლებებზე.

20 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯების მუხლები შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
მშობელი კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი საბანკო გარანტიის ფინანსური დანახარჯები	-	9
სულ	-	9

დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები შემდეგია:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
მშობელი კომპანიის მიერ უზრუნველყოფილ საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	-	70	60
სულ	-	70	60

მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს კომპანიის დირექტორებს. მთავარი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება სრულ განაკვეთზე აღმასრულებელ მმართველ პოზიციებზე მომსახურებისთვის შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და ჯანმრთელობის დაზღვევისგან.

მთავარი ხელმძღვანელი პირების სრული ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	2024	2023
ხელფასები და სარგებელი	151	211

ხელფასები და სარგებელი მოიცავს კომპანიის მიერ საქართველოს საპენსიო სააგენტოსთვის გადახდილ სავალდებულო საპენსიო შენატანს 3 ათასი ლარის ოდენობით (2023: 4 ათასი ლარი).

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკების ზღვრული მაჩვენებლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნული მაჩვენებლების ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმისთვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკები და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება სავაჭრო მოთხოვნების, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან და, ასევე, კონტრაქტებთან ისეთი სხვა გარიგებებს შედეგად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული ბალანსგარეშე საკრედიტო ვალდებულებების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, რომელიც აისახა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
საბანკო ნაშთები	3,830	2,222	426
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	634	587	564
აღიარებული ფინანსური აქტივები	4,464	2,809	990

საბანკო ნაშთები. კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია სს თიბისი ბანკში, რომელსაც, Fitch Rating-ის მიხედვით, აქვს მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი BB- (2023: BB). ეს ნაშთები არ არის ვადაგადაცილებული და იმყოფება პირველ საფეხურზე. შესაბამისად, კომპანია არ ელის კონტრაქტის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. საკრედიტო რისკი იმართება ინდივიდუალური მომხმარებლის დონეზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა შესაძლო შედეგებისთვის საკრედიტო ზარალის შეფასებების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობასთან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზარალის ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

სავაჭრო მოთხოვნები სრულად მოკლევადიანია (არა ვადაგადაცილებული) და ჩვეულებრივ იფარება 30 დღის განმავლობაში.

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
სხვა მოთხოვნები	185	176	-
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(170)	(144)	-
სულ, სხვა მოთხოვნები	15	32	-

მომდევნო ცხრილი განმარტავს ცვლილებებს სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხებში:

ათასი ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	144	-
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (პერიოდის მოგებაში ან ზარალში დარიცხვა)	26	144
ნაშთი 31 დეკემბერს	170	144

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან და (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან, ამასთან, ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს დასაშვები რისკის მოცულობის ლიმიტებს, რომლის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს.

თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, არ უზრუნველყოფს ამ ლიმიტებს მიღმა ზარალის თავიდან აცილებას უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა რისკის გავლენის დონეზე ვალუტის მიხედვით ადგენს ზღვრებს, რომლებიც ყოველდღიურად კონტროლდება. კომპანიის სავალუტო რისკის გავლენა ძირითადად განპირობებულია აშშ დოლარში დენომინირებული საბანკო სესხით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ათასი ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2024 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარში დენომინირებული 2023 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარში დენომინირებული 2023 წლის 1 იანვარი
საბანკო ნაშთები	3,218	240	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(14)	(108)	(103)
სესხები და ნასესხები სახსრები	(44,077)	(43,415)	(42,717)
წმინდა დაქვემდებარება	(40,873)	(43,283)	(42,814)

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	ევროში დენომინირებული 2024 წლის 31 დეკემბერი	ევროში დენომინირებული 2023 წლის 31 დეკემბერი	ევროში დენომინირებული 2023 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(33)	(38)	(1)
წმინდა დაქვემდებარება	(33)	(38)	(1)

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსები გახლდათ შემდეგი:

ქართული ლარი	საშუალო კურსი		ანგარიშგების თარიღისთვის არსებული „სპოტ“ სავალუტო კურსი		
	2024 წელს დასრულებული წელი	2023 წელს დასრულებული წელი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894	2.7020
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753	2.8844

მგრძნობელობის ანალიზი. შემდეგი ცხრილი წარმოადგენს მოგების ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გამოყენებული გაცვლითი კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შემთხვევაში:

ათასი ლარი	გამყარება		გაუფასურება	
	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)
2024 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	4,087	-	(4,087)
ევრო (10% ცვლილება)	-	3	-	(3)
2023 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	4,328	-	(4,328)
ევრო (10% ცვლილება)	-	4	-	(4)
2023 წლის 1 იანვარი				
აშშ დოლარი (10% ცვლილება)	-	4,281	-	(4,281)
ევრო (10% ცვლილება)	-	-	-	-

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად წარმოქმნილი რისკები. საპროცენტო მარჟა შეიძლება გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი მოძრაობების წარმოქმნის შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურად აკონტროლებს და ადგენს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო გადაფასების შეუსაბამობის დონეზე.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების აგრეგირებული ოდენობა საბალანსო ღირებულებით:

ათასი ლარი	საბალანსო ღირებულება		
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	44,289	356	1,087
ფინანსური ვალდებულებები	44,289	356	1,087
ცვლადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	-	43,415	42,717
ფინანსური ვალდებულებები	-	43,415	42,717

2024 წლის 31 დეკემბერს, თუ ამ თარიღისთვის არსებული საპროცენტო განაკვეთი იქნებოდა 200 საბაზისო ერთეულით ნაკლები (2023: 200 საბაზისო ერთეულით ნაკლები), წლიური მოგება იქნებოდა 343 ათასი ლარით მეტი (2023: 416 ათასი ლარით მეტი), ნასესხებ სახსრებზე უფრო დაბალი საპროცენტო ხარჯის შედეგად. თუ საპროცენტო განაკვეთი იქნებოდა 200 საბაზისო ერთეულით მეტი (2023: 200 საბაზისო ერთეულით მეტი), მოგება იქნებოდა 256 ათასი ლარით ნაკლები (2023: 383 ათასი ლარით ნაკლები), ნასესხებ სახსრებზე უფრო მაღალი საპროცენტო ხარჯის შედეგად.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიურ მონიტორინგს. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს, იჯარებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიან/გრძელვადიან ვალდებულებებს. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 9). ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელის ფულადი სახსრები, შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფულად სახსრებად ერთ დღეში, ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგი ხორციელდება და რეგულარული ლიკვიდობის სტრეს ტესტირება ტარდება სხვადასხვა სცენარის მიხედვით, რომელიც მოიცავს, როგორც ნორმალურ, ასევე უფრო მკაცრ საბაზრო პირობებს.

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც ვალდებულების თანხა არ არის ფიქსირებული, შენიშვნებში განმარტებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მიხედვით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
<i>ათასი ლარი</i>							
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 11)	44,077	92,166	-	2,299	2,208	23,969	63,690
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	161	1,069	-	-	23	114	932
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	52	52	-	52	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	44,290	93,287	-	2,351	2,231	24,083	64,622

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი							
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები													
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 11)	43,415	79,587	-	3,196	3,491	31,598	41,302						
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	183	1,114	-	-	45	114	955						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	175	175	-	175	-	-	-						
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით							43,773	80,876	-	3,371	3,536	31,712	42,257

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2023 წლის 1 იანვრისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 11)	42,717	78,715	-	1,759	2,839	30,062	44,055
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	160	1,114	-	-	-	114	1,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	927	927	-	927	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	43,804	80,756	-	2,686	2,839	30,176	45,055

22 კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მართვისას არის დაიცვას კომპანიის შესაძლებლობა, განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის ოპერაციული და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს უკანასკნელი მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვისა და კომპანიის ამონაგებისა და მოგების მონიტორინგის საშუალებით.

23 სამართლიანი ღირებულების განმარტება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებები, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასებაში გამოყენებული მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება ემყარება ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკის და ვადის მქონე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, მიეკუთვნება მე-2 დონეს.

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხის დაფარვა. 2025 წლის თებერვალსა და მარტში კომპანიამ ვადაზე ადრე დაფარა #3 საბანკო სესხი 600 ათასი აშშ დოლარისა და 150 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (შესაბამისად, 1,683 ათასი და 419 ათასი ლარის ეკვივალენტი).

საკრედიტო ხაზი. 2025 წლის მარტში, კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს „თიბისი ბანკთან“, 700 ათასი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ლიმიტით, რათა მეტად უზრუნველყოფილი ჰქონოდა მისი ლიკვიდობის პოზიცია. ინსტრუმენტს აქვს სამწლიანი ვადა და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისთვის არ არის გამოყენებული.

ნასესხები სახსრების მოდიფიკაცია. 2025 წლის 28 იანვარს, კომპანიამ ხელახალი მოლაპარაკება აწარმოა სს „თიბისი ბანკთან“ სამივე სავალო ხელშეკრულების პირობებზე, რითაც უზრუნველყო უფრო ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრიდან.